საერთო საქმე

№6 (417) • 22 თებერვალი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ელიზბარ ჯაველიძე:

სხვა გამოსავალი არ არის - ქართველ ერს კვლავ ბიძინა ივანიშვილი უნდა წარუძღვეს წინ

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ინიციატივა

წინ, ევდემური ჯიშებისკენ!

ნოდარ გიორგაძე:

ჩვენ, ყველანი, ვალდებულნი ვართ, რაღაც ვაკეთოთ ჩვენი ხალხისთვის...

ბასილი მკალავიშვილი:

საინტერესოა, ვის ვიხილავთ პატრიარქის სავარძელში, ვის ფსიქიატ-რიულში და ვის - ციხეში...

ჟურნალისტი ირაკლი მამალაძე - გმირი თუ პროვოკატორი?

ისმის კითხვა: ჟურნალისტი მამალაძეც იმ „ბაღიდან“ ხომ არ არის, საიდანაც ჩამწერებით შეიარაღებული ჩიტუნიები გამოფრინდებიან ხოლმე დაქართველ ხალხს და საქართველოს მათ მიერვე შეთხზული „ზესკანდალური“ და „ზესენსაციური“ ინფორმაციებით, უკაცრავად გამოთქმაზე და, თავზე ასკინტლავენ, აგერ უკვე მერამდენე წელიწადია...

დეზიზა სუმბაძე:

ფარული ომი საქართველოს და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გრძელდება

კურტუმომოთამაშეები

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“-ი...

ბილწთან შეკრულები

ჟურნალისტი ირაკლი მამალაძე – გმირი თუ პროვოკატორი?

გასული საუკუნის 30-იანი წლების „იდეინი“ კომკავშირლების და პიონერების შემდეგ ასეთი თავგანწირვა, ასეთი თავდადება რომელიმე მოქალაქის მხრიდან, როგორიც ჟურნალისტმა ირაკლი მამალაძემ გამოიჩინა, დიდი ხანია, არ ახსოვს საქართველოს.

ირაკლი მამალაძე ჭეშმარიტი პატრიოტი და გმირია, რომელიც ფხიზლად დგას ქვეყნის

ინტერესების სადარაჯოზე – ვიღაც-ვიღაცები ძალიან ცდილობენ, ასეთი იმიჯი შეუქმნან მამალაძეს.

ირაკლი მამალაძე „გმირი“ კი არის, მაგრამ ამასთანავე, თავმდაბალია, რომელიც თავის დიდ დამსახურებას ქვეყნის წინაშე მაინცდამაინც დიდ ამბად არ მიიჩნევს: — არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, მე ჩემი მოვალეობა შევასრულე. ალტერნატივის წინაშე ვიდექი — ან უნდა გავმხდარიყავი დანაშაულის თანამონაწილე, ან დანაშაული უნდა აღმეკვეთა. ქვეყანას თავი დავანებოთ, ბოლოსდაბოლოს, საკუთარი თავი დავიცავიო, — განაცხადა გმირმა ჟურნალისტმა.

სულ ახლახან გაირკვა, რომ სანამ გმირობას გადაწყვეტდა, ირაკლი მამალაძეს კონსულტაციისთვის ადვოკარტ ირმა ჭკადუასთვის მიუმართავს: ჩემი მოგვარე და ნათესავი დეკანოზი გიორგი მამალაძე ამის და ამის გაკეთებას აპირებს და რას მირჩევ, როგორ მოვიქცეო?

ქ-ნ ირმას არ დაუჯერებია ირაკლის მონაყოლი და — წადი, ბიჭო, აქედან, რა სისულელეებს ლაპარაკობო, — უთქვამს. ირაკლი კი წასულა, მაგრამ მეორე დღეს ისევ მობრუნებულა და ამჯერად ისეთი ჩანაწერები უჩვენებია ქ-ნი ირმასთვის, რომ ადვოკატს საჭიროდ ჩაუთვლია, დაბნეული ირაკლისთვის ის დაწესებულება მიესწავლებინა, სადაც მომავალი გმირი ამ ჩანაწერებით უნდა მისულიყო.

ასე რომ, ქ-ნ ირმას ლომის წილი უდევს ირაკლის გმირად ქცევაში — ის რომ არა, გულუბრყვილო და მიამიტი ირაკლი მამალაძე შეიძლება არც მისულიყო იქ, სადაც ჯერ არს და, ვაი, მაშინ რაც ამ უბედურ ქვეყანას ელოდა.

მთელს ამ ისტორიაში, რომელიც ქ-ნი ირმას მონათხრობს ეყრდნობა, ყველზე გასაკვირი ის არის, რომ საკმაოდ გამოცდილმა ჟურნალისტმა თურმე არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე, როცა ის ისეთ გამაოგნებელ ამბავს იგებს. როგორიცაა პატრიარქის ან მისი გარემოცვიდან ვინმეს ლიკვიდაციის ამბავი და რჩევა-დარიგებისთვის ადვოკატს მიმართავს.

კიდევ უფრო გასაკვირი ამბები ამის შემდეგ იწყება.

ჟურნალისტი მამალაძე აცხადებს: დეკანოზმა მამალაძემ განსაკუთრებული დაჟინებით ციანიდის შოვნა მას შემდეგ მოითხოვა, როცა პატრიარქი გერმანიაში გაემგზავრა, სადაც თვითონაც აპირებდა წასვლასო.

გასაოცარია, რატომ მიმართა დეკანოზმა გიორგიმ ასეთი რთული თხოვნით მაინცდამაინც თავის მოგვარეს — რომელი ფარმაკოლოგი ან სხვადასხვა შხამიანი თუ ბაქტეროლოგიური იარაღის გადამზიდავი ჟურნალისტი მამალაძე იყო, რომ ციანიდი ასე უცებ ეშოვნა?

ჯერჯერობით უცნობია, „ყოვლიშემძლე“ მამალაძემ დავალება ეშმაკის გზაზე შემდგარ დეკანოზს ციანიდი მიუტანა, თუ დეკანოზმა სხვისგან იშოვა ეს „საწამლავი“, რომელიც მის ბარგში არმოაჩინეს.

მოდით, აქ ცოტა ამოვისუნთქოთ და დავფიქრდეთ: რაზეა, საერთოდ, საუბარი და რა ხდება?

ციანიდი უძლიერესი შხამია, რომელთანაც განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო.

რა გარანტია ჰქონდათ ან მამალაძეს, ან იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს შხამი მამალაძეს მისცეს, რომ დეკანოზი მამალაძე სრულად დაიცავდა უსაფრთხოების ზომებს და გერმანიაში ჩასვლამდე ან საკუთარ თავს ან სხვებს, თუნდაც გაუფრთხილებლობით, საბედისწერო ზიანს არ მიაყენებდა?

ციანიდს რომ გადასცემდნენ დეკანოზს, რა გარანტია ჰქონდათ, რომ დეკანოზი არ იტყუებოდა და გერმანიაში კი არა, საქართველოში აპირებდა ვიღაცის ლიკვიდაციას?

ესეც არ იყოს, თუ დეკანოზ მამალაძეს პატრიარქის ან მისი გარემოცვიდან ვიღაცის მოწამვლა სერიოზულად ჰქონდა განზრახული, რატომ მაინცდამაინც გერმანიში უნდა განეხორციელებინა ეს ავი განზრახვა, ამის გაკეთება თბილისში განა უფრო ადვილი და მოსახერხებელი არ იყო?

უამრავი ასეთი კითხვა წამოიჭრება, როცა ამ ე. წ. ციანიდის საქმეზე ფიქრობ და ამ კითხვების უმრავლესობაზე ჯერჯერობით პასუხი არ ჩანს.

ჯერჯერობით ისიც არ ვიცით დანამდვილებით, რატომ მივიდა დეკანოზი გიორგი მამალაძე ჟურნალისტ ირაკლი მამალაძესთან?

იქნებ არა ციანიდის საყიდლად და ვიღაცების ლიკვიდაციის გეგმის გასაცნობად, არამედ მივიდა როგორც ჟურნალისტთან, რომ საპატრიარქოში არსებული კორუფციის ამსახველი მასალები გაეცნო მისთვის, როგორც ახლობელი ადამიანისთვის, რომელსაც ენდობოდა და ამით თავი დაეზღვია მის მიერ კორუფციაში დადანაშაულებული პირების მოსალოდნელი შურისძიებისგან, ირაკლი მამალაძემ კი, ეს მასალები სწორედ იმ პირებს გააცნო, რომლებსაც დეკანოზი გიორგი თანხების გაფლანგვაში, ეკლესიის კუთვნილი ქონების მიტაცებაში და სხვა მძიმე დანაშაულებში სდებდა ბრალს.

ამ ვიზიტის შემდეგ ხომ არ დაგეგმეს იმ პირებმა და ირაკლი მამალაძემ „სპეცოპერაცია“ ამბოხებული დეკანოზის დისკრედიტაციის მიზნით და ციანიდის საქმე ხომ არ „გაუჩალიჩეს“?

რაც შეეხება მთავარი მოწმის მიერ პროკურატურაში მიტანილ ვიდეო თუ აუდიო ჩანაწერებს, ჯერჯერობით არავის დაუდგენია ავთენტურია ეს ჩანაწერები თუ ჩვეულებრივი სიყალბეა, რომლის გაკეთებაც თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ადვილზე ადვილი საქმეა.

ასე რომ, ძალიან ნუ ვიჩქარებთ ირაკლი მამალაძისთვის სახელმწიფო ინტერესებისთვის თავდადებული რაინდის და გმირის წოდების მინიჭებას.

ისმის კითხვა: ჟურნალისტი მამალაძეც იმ „ბაღიდან“ ხომ არ არის, საიდანაც ჩამწერებით შეიარაღებული ჩიტუნიები გამოფრინდებიან ხოლმე დაქართველ ხალხს და საქართველოს მათ მიერვე შეთხზული „ზესკანდალური“ და „ზესენსაციური“ ინფორმაციებით, უკაცრავად გამოთქმაზე და, თავზე ასკინტლავენ, აგერ უკვე მერამდენე წელიწადია...

ირაკლი მამალაძე გმირი მაშინ იქნებოდა, თუ ჩუმად და უხმაუროდ ყველაფერს მოიმოქმედებდა იმისთვის, რომ თავის სისხლსა და ხორცს, თავის ნათესავს, რომელიც რაღაც მიზეზებით გონიერების ზღვარს გადასცდა და განსჯის უნარი დაკარგა (თუ ასეთი რამ მართლაც ხდებოდა) გამოაფხიზლებდა და განზრახვაზე ხელს აალებინებდა.

მას ადვილად შეეძლო ამის გაკეთება – დეკანოზის ახლობლებთან, მის მშობლებთან, მის სანათესაო წრესთან მივიდოდა, ყველას გვერდით ამოიყენებდა დ ყველანი ერთად ადვილად მოახერხებდნენ, დეკანოზი რეალობისთვის დაებრუნებინათ.

აი, ეს რომ გაეკეთებინა, მაშინ იქნებოდა ის გმირი...

მართალია, მის გმირობას ვერავინ გაიგებდა, მაგრამ განა ეს არის მთავარი?

იმის ნაცვლად, რომ შეეჩერებინა, ჟურნალისტი, როგორც ჩანს, აქეზებდა დეკანოზს, პირდებოდა დახმარებას დანაშაულის სისრულეში მოყვანაში.

ყოველივე ეს საფუძვლიან

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ეჭვს ბადებს, რომ ჟურნალისტი მამალაძე ჯერჯერობით დაუდგენელ პირებთან ერთად, მათი შეკვეთით, ალბათ, სერიოზული ჰონორარის ფასად, დეკანოზ გიორგი მამალაძეს წინასწარ მოფიქრებული სქემით და ტაქტიკით, ნელ-ნელა იტყუებდა მახეში.

თუ ეს ვერსია მართალია, მაშინ ირაკლი მამალაძე გმირი კი არა, ჩვეულებრივი გარეწარია, რომელმაც არჩადენილი დანაშაულის გამო მისი ახლობელი და მეგობარი მორალურად და სულიერად გაანადგურა, მოკლა.

თუ ვინმეს სურს, ეს საქმე მართლაც ობიექტურად და მიუკერძოებლად გამოიძიოს და საზოგადოებას სიმართლე ამცნოს, მაშინ ეს გამოძიება სწორედ რომ „მთავარი მოწმიდან“, ირაკლი მამალაძიდან უნდა დაიწყოს.

როგორც ამბობენ, მამალაძე თავის დროზე აქტიურად თანამშრომლობდა „ნაცმოძრაობასთან“ და მისი ფავორიტი ჟურნალისტი ბრძანდებოდა.

არ არის გამორიცხული, ეს მეგობრობა დღემდე გრძელდებოდეს და ციანიდის საქმის ახლართულ-ჩახლართული გორგალის წვერი სწორედ „ნაცმოძრაობის“ რომელიღაც შტოს ეჭიროს ხელში.

განა საეჭვო არ არის, რომ „რუსთავი-2“, „ნაცმოძრაობის“ რუპორი, ერთი ნაბიჯით წინ უსწრებდა პროკურატურას ციანიდის საქმესთან დაკავშირებული პროცესების გაშუქებისას და ისეთ მასალებს აწვდიდა საზოგადოებას, რომლებიც კიდევ უფრო ძაბავდა ისედაც დაძაბულ სიტუაციას.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს „რუსთავი-2“-მა წინა დღეს იცოდა ის, რაც მეორე დღეს საჯაროდ უნდა თქმულიყო.

ისიც არ უნდა იყოს უმნიშვნელო დეტალი, რომ სწორედ „რუსთავი-2“-მა „გახეთქა“ ინფორმაცია, რომელიც, წესით და რიგით, უკიდურესად კონფიდენციალური უნდა ყოფილიყო და მთავარი მოწმის ვინაობა საჯაროდ დაასახელა.

ჩიტმა მოუტანა ამბავი „რუსთავი-2“-ს?

კი, მაგრამ, რატომ დაფრინავენ ეს ჩიტუნიები ასე თავისუფლად გარე-გარე და ხან ერთ საინფორმაციო საშუალებას, ხან მეორეს, ხან მესამეს რატომ ჩაუჭყლოპინებენ ხოლმე ზესაიდუმლო ამბებს?

არ შეიძლება ეს მაინც იკითხოს ვინმემ და ამა თუ იმ სტრუქტურების „გალიის“ კარები საიმედოდ მიკეტოს?

ჟურნალისტი ირაკლიც იმ „ბაღიდან“ ხომ არ არის, საიდანაც ჩამწერებით შეიარაღებული სხვა ჩიტუნიები გამოფრთხიალდებიან ხოლმე და, უკაცრავად გამოთქმაზე, ქართველ ხალხს და საქართველოს მათ მიერვე შეთითხნილი „ზესკანდალური“ და „ზესენსაციური“ ინფორმაციებით თავზე ასკინტლავენ, აგერ უკვე მერამდენე წელია.

კარგად დავფიქრდეთ და კარგად გავაანალიზოთ სიტუაცია, რომელშიც ვცხოვრობთ — „ციანიდი“ საქმეც“ განა ზუსტად არ ჯდება იმ ზოგად სურათში, რასაც ყოველდღე ვუყურებთ და რომელიც ასე გვზარავს და გვზაფრავს თავისი სიბილწით, ამორალურობით, უტიფრობით და ცინიზმით?

განა „შეთქმულებების“ და „დივერსიების“ მუდმივ რეჟიმში არ ვცხოვრობთ, რომელსაც ხან ერთი „გმირი“ აღკვეთავს, ხან მეორე და ქვეყანას დაღუპვისგან „იხსნის“ ხოლმე...

სხვებს რომ თავი დავანებით, თვით ბიძინა ივანიშვილი ორჯერ თუ სამჯერ „იხსნეს“ მამალაძისნაირმა „გმირებმა“ „დივერსიულ-ტერორისტული“ აქტებისგან და ბატონ ბიძინას დიდხანს, დიდხანს აყვედრიდნენ — სიკვდილს გადაგარჩინეთ, თქვენ კი სათანადოდ არ დაგვიფასეთ ამაგიო.

ალბათ, ისიც გახსოვთ, ერთი გაზეთი ორი თვის განმავლობაში როგორ არისხებდა განგაშის ზარებს და როგორ მოუწოდებდა ბიძინა ივანიშვილს — თქვენი ბიზნესცენტრი სოლოლაკში დასაშვებზე ათჯერ უფრო მერი რადიაქტიული გამოსხივების ველზე დგას. სასწრაფოდ დაცალეთ შენობა, თორემ თქვენს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებაო.

ამ ავანტურისტული ჩანაფიქრის ავტორებს, როგორც ჩანს, შემდეგი მიზანი ჰქონდათ: თუ ივანიშვილი გაბრიყვდებოდა და შენობას მიატოვებდა, მერე უნდა გენახათ თქვენ იქ რადიაქტიული ან სხვა ნივთიერებების ჩასაწყობება.

ეს და მსგავსი სხვა შემთხვევები, არავის გამოუძიებია, არავის დაუდგენია, რა ძალები იდგნენ ამ ერთმანეთის მსგავსი სცენარებისა და სიუჟეტების უკან.

ახლა მაინც თუ არ იქნება გამოძიებული „ციანიდის საქმის“ მთავარი შემოქმედების საქმეები, ხვალ და ზეგ კვლავ გამოჩნდებიან ახალი მამალაძეები, რომლებიც შეეცდებიან, ქვეყანაში არასოდეს დაისადგუროს სიმშვიდემ და სტაბილურობამ.

„საერთო გაზეთი“

სხვა გამოსავალი არ არის – ქართველ ერს კვლავ ბიძინა ივანიშვილი უნდა წარუძღვეს წინ

გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:

— ბატონო ელიზბარ, მიუხედავად არჩევნებში „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვებისა, ულტრა-ლიბერალებმა ფრთები კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს. რა ხდება, როგორ გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან?

— ე.წ. ულტრა-ლიბერალები მიზანმიმართულად მუშაობენ ქვეყნის დანგრევაზე და დიდ წარმატებებსაც აღწევენ. ახალგაზრდობაც მთლიანად წახდა. არადა, ეს ის ნაწილია, რომელიც ყოველთვის პროგრესული იდეებით გამოირჩეოდა და გამოდიოდა. ეროვნული მოძრაობა, რაშიც მეც გახლდით ჩართული, სწორედ, ახალგაზრდობის ინიციატივით დაიწყო. დღეს კი, ახალგაზრდების პრინციპი ასეთია — სადაც კარგად ვართ, ჩვენი სამშობლოც იქ არის. ახალგაზრდებს ეს აზრი ჩაუნერგეს. იცით, რატომ? — განათლების პროგრამა მთლიანად მიმართულია იქეთკენ, რომ ყოველგვარი ეროვნული ცნობიერება, პატრიოტიზმი, სამშობლო ჩაახშონ. დღეს, ვერ დამისახელებთ პარლამენტის ვერცერთ წევრს, რომელიც სამშობლოს ახსენებს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სასკოლო პროგრამიდან ამოიღეს რაფიელ ერისთავის ლექსი: „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა...“ რას უშავებდათ ეს ლექსი? საქმე ისაა, რომ ბავშვის ცნობიერებიდან სიტყვა სამშობლო უნდა ამოშალონ. ერთ დროს მეც ვიყავი განათლების სამინისტროს თავკაცი. ჩემი მთავარი მიზანი იყო პროგრესული იდეები ეროვნულ ტრადიციებზე დაგვემყნო. ახლა, პირიქით ხდება — ვითომ პროგრესულ იდეებს აფუძნებენ, ამ დროს, ეროვნული ცნობიერება მთლიანად დაანგრიეს. მოსპეს სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, განათლება, მეცნიერება. ვინ აკეთებს ამას? — განათლების სამინისტრო ლომაიადან მოყოლებული დღევანდელ მინისტრამდე დამთავრებული. აბა, დააკვირდით, ვინ გვყავდა ბოლო დროს განათლების მინისტრებად? — ლომაიას „რეფორმა“ მონელებული არ გვქონდა, რომ მერე, პროკურორი ჩაუდგა განათლებას სათავეში. ეს კიდევ არაფერი, პროკურორი ციხის უფროსმა შეცვალა, მერე „სოროსის“ მარჯვენა ხელი, მისი გამოზრდილი მარგველაშვილი მობრძანდა, რომელმაც ერი დაუნად მონათლა. მან დაგვიტოვა თავისი ბუღალტერი თამარ სანიკიძე. შემდეგ, ისევ მარგველაშვილის ინიციატივით ბუღალტერი სანიკიძე ბუღალტერ ჯეჯელავათი ჩაანაცვლეს.

კლიმოვი ამბობდა: ქვეყნისთვის ატომურ ბომბზე უკეთესი დამანგრეველი დეგენერატი, ავადმყოფი, ნაკლული ხალხის დაწინაურებაა. ეს ჭკუანაკლული კაცი უტევს „კომბლეს“, „რწყილი და ჭიანჭველას“ და ა.შ., სწორედ ეს არის ე.წ. პოსტ-სოროსული, პოსტ-ლიბერალური ბოდვა, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია ყველაფერი გაიყიდოს. როგორც ბენდუქიძე ამბობდა: ყველაფერი შეიძლება გაყიდო. ასეც მოხდა — გაიყიდა მიწისქვეშა თუ მიწისზედა სიმდიდრეები. ნათელაშვილის პარტიიდან ვიღაცამ თქვა: რად უნდა ეკლესიას ამდენი მიწები, სირცხვილიაო. ეს სირცხვილი კი არა, პირიქით, ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზაა. აბა, ისაა საამაყო დედოფლისწყაროში ინდოელი ქართველ გლეხზე მიწას რომ აქირავებს, აგირავებს და ქართველს ქართულ მიწაზე კაპიკებში ამუშავებს?! აი, ესაა უბედურება. ავიღოთ, თუნდაც, რა ხდება ხელოვნებაში. აქაც, დიდი უბედურება ტრიალებს. თავის დროზე ჯაზის მოყვარული ვიყავი იმიტომ, რომ მასში ჰარმონია იყო. ახლა, ამ ჯაზისტმა მინისტრად რომ ზის და კულტურის გაგებაში არაა, მთელი კულტურა მოსპო. იგი, სააკაშვილის მარჯვენა ხელია. სააკაშვილი რასაც უბრძანებდა, ყოველთვის იმას აკეთებდა, დაათრევდა საქსაფონს და მიშას ნებაზე უკრავდა. აქვე გეტყვით, სააკაშვილი და მისი ბანდა გაცილებით მდიდარია, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი. ამ უკანასკნელმა ყველაფერი თავისი შრომით მოიპოვა. „ნაციონალები“, მისი მეთაურიანად, ყაჩაღები არიან, ჩვენი ფული აქვთ მოპარული. დღეს, საქართველოში არავინ კითხულობს ქართველის უფლებებს. უპირველეს ყოვლისა, საუბრობენ ჩამოსახლებული ხალხის უფლებებზე, რა უჭირთ მათ, ხომ არ იზღუდება მათი თავისუფლება. პირზე აკერიათ, ტოლერანტები ვართ, 3 ათასი მეჩეთი ავაგეთო. რატომ არ კითხულობენ სხვაგან რა ხდება. თუნდაც, იგივე საინგილოში. ტოლერანტობა ბიოლოგიური ტერმინია — როდესაც

4 ბ.

სხვა გამოსავალი არ არის – ქართველ ერს კვლავ ბიძინა ივანიშვილი უნდა წარუძღვეს წინ

← 3 გვ.

უცხო ბაცილა ორგანიზმში შედის, მან ის უნდა შეიგუოს. თუ ორგანიზმმა არ შეიგუა, მაშინ ბაცილა მას ერევა, ეს უკვე კიბოა და ორგანიზმი კვდება. ჩვენც ველარ ვერევით, ამ ტოლერანტობით, უკვე, კიბო გაგვიჩინეს, ქართველი ერი კვდება. ესაა მთელი უბედურება.

— ბატონო ელიზბარ, წელან ახსენეთ, განათლება, მათ შორის მეცნიერება ულტრა-ლიბერალურმა მიმართულებამ მთლიანად მოსპოო...

— ერთი რამ მინდა გითხრათ: ბიძინა ივანიშვილს დიდ პატივს ვცემ. ნერვები მეშლება, როცა მას ლანძღავენ. გამოვიდა ვიღაც ჟურნალისტი და თქვა: მეცნიერებს უნდა გავუტყლაშუნოთ, ივანიშვილმა ისინი მონებად აქციაო. ბატონი ბიძინა ქველმოქმედია. მან მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა, 300-მდე ეკლესია-მონასტერი ააშენა, ასევე, რუსთაველის თეატრი და ა.შ. დღეს ივანიშვილი ერთადერთი ავტორიტეტია, რომელსაც ხალხი ენდობა, ამიტომაც უტევენ. გასაგებია, რომ რადგან პატარა ერი ვართ ხელისუფლება ბოლომდე თავისუფალი ვერ იქნება, ვიღაცა გავლენას ახდენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კოლონიად გადაიქცე. დღეს, საქართველო არის კოლონია. ასეთი დაბეჩავებული საქართველო არაბების, სპარსელების შემოსევების დროსაც კი არ ყოფილა. მაშინ, ქართველი ქართველობდა. დღეს, ქართველი ველარ ქართველობს. ერმა ღირსება, სახე, სულიერება დაკარგა. სულიერებას ებრძვიან, რისი უმთავრესი ნაწილი, რა თქმა უნდა, მართლმადიდებლობა, ჩვენი რწმენაა. ჩვენს რწმენას უტევენ. ერთი ამბავია ატეხილი პატრიარქთან დაკავშირებულ სკანდალზე. ეს ინფორმაცია არ მიკვირს, ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის. აქამდეც ხომ უნდოდათ პატრიარქის მოწამვლა, ერთხელ და ორჯერ მოწამლეს?! გამობრძანდა რეზო ჩხეიძის ქალიშვილი და განაცხადა: ივანიშვილს უნდოდა პატრიარქის მოწამვლაო. რა შუაშია აქ ბიძინა ივანიშვილი?! ამ ხალხის უსინდისობას ზღვარი არ აქვს.

— დიდი აურზაურია „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ დაკავშირებითაც. როგორია თქვენი მოსაზრება იქ განვითარებულ მოვლენებზე?

— „პირველი არხი“, რომელიც ჩვენი ფულითაა დაფინანსებული, თავიდან ბოლომდე ანტიქართულია. ბოდიში თქვენთან, მაგრამ იგი დედათმავლებისა და პიდარასტების ბუდეა. არცერთი გადაცემა ქართული სულის არ არის. მეტიც, იუნესკომ გასული წელი რუსთაველის წელიწადად გამოაცხადა. ამ არხზე რუსთაველის შესახებ ერთი გადაცემა არ გაუკეთებიათ, მისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანიდან“ ერთი სტროფი არ წაუკითხავთ და ახლა, გამოდიან და ერთ ამბავში არიან. ვასიკო მაღლაფერიძემ თქვა: გადაცემების გარკვეული ნაწილი უნდა დაიხუროსი. მარტო ეს გადაცემები კი არა, საერთოდ უნდა დაინგრეს ეს ტელევიზია და ახლიდან გაკეთდეს. ასეთი უსაქმურები, უწიგნურები არსად მინახავს. თავის დროზე 5-6 გაზეთის რედაქტორი ვიყავი და არ მახსოვს ან ტელევიზიებს ან პრესას ასეთი უწიგნურები ჰყოლოდეს, როგორც დღესაა. თითებზე ჩამოითვლება ჟურნალისტები, რომელთაც წიგნიც წაკითხული აქვთ და წერაც იციან. ეს უვიცები ყელმოღერებული დადიან და გაიძახიან: მეოთხე ხელისუფლება ვართო. მეოთხე ხელისუფლება კი არა ვირის საჯდომები არიან.

— ბატონო ელიზბარ, მაშინ როცა ჩვენთან ლიბერალები ბატონობენ, ამერიკაში ტრამპი ახალ მსოფლიო წესრიგს ამყარებს. მან ამ ფრთას პირდაპირ ომი გამოუცხადა.

— დიახ, სწორედ მაშინ როცა აქ ეს ლიბერასტრები ქვეყნის, სულიერების, ერის დასამარებას ცდილობენ, დიდი, ღრმა გამოქვაბულის ბოლოს სინათლე გამოჩნდა — მოვიდა ტრამპი, რომელიც თავისი აზროვნებით, ასე მგონია, მე მგავს. იგი ჭეშმარიტი ქართველისნაირად აზროვნებს. ამბობს: მე, უნდა ვიყო ჩემი სამშობლოსთვის, ჩემი მიზანია ამერიკის ეკონომიკის, ინდუსტრიის გაძლიერება; არ მესაქმება სხვა ქვეყნებში ცხვირის ჩაყოფა, ფერადი რევოლუციები ჩემი საქმე არ არისო. ჩვენც ეს გვინდა. საქართველოში ამერიკის ელჩი რატომ უნდა მარიგებდეს ჭკუას. ტრამპის გაპრეზიდენტებას თუ არ ვცდები 75 ქვეყანა მიესალმა, საქართველო — არა. რატომ არ მიესალმენ? იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ისევ არიან ეს ლიბერასტრები, ბოდიში თქვენთან და ეს, დედათმავლები, მამათმავლები, ცნობიერებაგადაგვარებული ხალხი, რომელთაც სამშობლო არ უყვართ, არაფრად უღირთ. ტრამპი მოვიდა და, პირველ რიგში, პატრიოტიზმს გაუსვა ხაზი. პუტინიც სამშობლოს სიყვარულს მიიჩნევს უმთავრესად. თქვე ოხრებო, ამათ მივმართავ, ოდესმე თუ გიხსენებიათ საქართველო, სამშობლო. ჩემზე ამბობენ: სამშობლო უყვარს, მარგინალი, ჩამორჩენილიაო. იცით, რატომ მიყვარს ზვიად გამსახურდია? — მას ილია ჭავჭავაძე უყვარდა. ზვიადი ერთადერთი ხელისუფალი იყო, რომელსაც საქართველოს გარდა არაფერი აინტერესებდა. პრეზიდენტად რომ მოვიდა ერთი კოსტუმი ეცვა და იმით დავმარხეთ. სამშობლოს გარდა სხვა ინტერესი არ ჰქონდა. ახლა, სამშობლოზე არავინ ფიქრობს, ესაა მთელი უბედურება. მე, ისევ ბატონი ბიძინას იმედი მაქვს. იგი უნდა მოვიდეს, დაუბრუნდეს ხელისუფლებას. ახლა, ჭორები დადის კვირიკაშვილს უშვებენ და სხვას ნიშნავენო. როგორც ვიცი იგი უფრო მოძულე კაცია. ასე ერი დაიღუპება. ამას უკვე ქართველი ხალხი ველარ აიტანს, მისი მოთმინება უკვე წკიპზეა, ერთი ასანთის გაკვრა და იფეთქებს. ქართველი კაცის ბუნება ისეთია, ისტორიას თუ გადავხედავთ, საჭმლის, მუცლის გამო არასდროს იბრძოდა, არამედ რწმენის გამო.

— ბატონო ელიზბარ, წელან ახსენეთ, „ნაციონალები“ ქართველ ხალხს კიდევ რომ მიმართავენ, ხელისუფლების ბრალიაო. მართლაც რა გახდა, რატომ უსმენს ხელისუფლება მათ საყვედურებს ასე თავჩაქინდრული?

— დიახ, ყველაზე უფრო კიდევ ის მაღიზიანებს, რომ ამ ავადმყოფებს არ მოუღეს ბოლო. გამოდიან ტელეეკრანებზე და როგორც ადრე, ახლაც ისე იქცევიან — ლანძღავენ „ქართულ ოცნებას“, მერე, ესენი პასუხობენ და ისევ, თავს იცავენ. სოსო ჯაჭვლიანი და ლუკა კურტანიძე მოჭიდავეები მაინც იყვნენ, ხელს გააქნევდნენ, ახლა, ხელის გამქნევიც აღარავინ არის. ახლა, ფეხბურთელები ჰყავთ, ისინი ვერ იჩხუბებენ. ამის მოთმენა არ შეიძლება. ამიტომ, ტელევიზორს აღარ ვუყურებ. ეს უზნეო ხალხი რომ გამოდის და ზნეობაზე გველაპარაკება, ამის ატანა არ შემიძლია. მერე და ვინ გველაპარაკება ზნეობაზე? — ბოკერია და მისი ცოლი, გივია თარგამაძე. ახლა, ვითომ გაიმიჯნენ, ეს არავინ დაიჯერის. მათი გამიჯვნა წარმოუდგენელია, ისინი ერთ სულ, ერთ ხორც არიან. მათ ერთი პრინციპი აერთიანებთ — ფულის სიყვარული და ქვეყნის სიძულვილი, მეტი არაფერი. წარმოუდგენელია, მაგრამ დღეს ისევ უგულავა, ახალაია, მერაბიშვილი მდიდრდებიან. მათ, ახლა, გაცილებით დიდი ქონება, მილიონები აქვთ, ვიდრე აქამდე ჰქონდათ. სად არის ხელისუფლება, სად იყურება პროკურატურა? რატომ არ უკეტავს მათ ამ გზებს. დღეს, ერთ-ერთ წამყვან სამინისტროს კეზერაშვილის შენობა აქვს დაქირავებული და თვეში 50 ათასს უხდის. არ შეიძლება ასე.

ძალიან ცუდი წინათგრძნობა მაქვს იმასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება მოგველოდეს. ბატონ ბიძინასაც გაბეზრდა თავი. წავლენწამოვლენ ხე გადარგოო იძახიან, შეჭამეს კაცი. შე, ოხერო ხეზე რომ ლაპარაკობ, წადი, ნახე რა სიკეთეები აქვს გაკეთებული ერისთვის. ბევრჯერ მითქვამს, ისტორიაში ასეთი ქველმოქმედი კაცი არ არსებობს. ქართველი თუ ხარ, სადაც ქვეყანას, სამშობლოს უჭირს, შენც იქ უნდა იყო. აი, ეს არის პოლიტიკა. ქართველი ერის და ხალხის გადასარჩენად უნდა იბრძოლო. დღეს, ვატყობ, რომ ერის პანაშვიდია. ჩვენ, არ გვეცეკვება და არ გვემღერება. ახალ სახეებს, ახალგაზრდა პარლამენტარებსაც მივმართავ — ახლა შოუების დრო არ არის, რაღაცებს რომ კავეენობენ ეკრანების წინ, ამის დრო არ არის! თუ ქვეყანა გვიყვარს, უნდა ვიტიროთ. ახლა, ტირილის დროა. ტირილით გული იწმინდება და თუ ეს მოხდა, მაშინ შენში უფალი მკვიდრდება და მასთან ერთად მკვიდრედება სამშობლო. აი, ეს არის მთავარი.

— ბატონო ელიზბარ, ამდენი პრობლემების ფონზე როდემდე უნდა ეძინოს ყურზე ხელისუფლებას?

— რასაც ვსაუბრობ, ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს ეხება. გამონაკლისებიც არის — კახი კახიშვილი და სერგეენკო. დანარჩენზე არ მინდა რა ლაპარაკი, თუ რას წარმოადგენენ. მინისტრს ცამეტი ბინა რომ ექნება, რას ნიშნავს ეს?! ივანიშვილს ოცდაათი ბინაც რომ ჰქონდეს, არ გამიკვირდება. მაგრამ მინისტრები ხომ ხელფასზე ცხოვრობენ, არა? რაც არ უნდა მაღალი ხელფასი ჰქონდეს, ცამეტი ბინა როგორ უნდა შეიძინოს, ბაბუამისმა დაუტოვა ქონება?!

— ლიბერასტრები, როგორც თქვენ მათ უწოდებთ, ყველა სფეროს არიან მოდებულნი. ნებისმიერი ტელევიზიის ეკრანიდან მხოლოდ მათი ხმა ისმის...

— დიახ, ეს ერთიდაიგივე ხალხია, რომლებიც დილით „რუსთავი-2“-დან გვმოძღვრავენ, საღამოს „იმედიდან“ და ა.შ. ტელეეკრანებზე ჭკვიან ხალხს აღარ იზიდავენ. მახსოვს როგორი იყო კონჩიტას დედა — ჯულიეტა ვაშაყმაძე, საოცარი პროფესიონალი. ახლა, ვინც უფრო მოკლე კაბას ჩაიცმევს, კარგ ფეხებს გამოაჩენს და მეტ სისულელეს ილაპარაკებს, იმას იწვევენ. სიმართლეს არავინ ემსახურება. ამიტომ, მოისპო ქვეყანა. „რუსთავი-2“ სიტყვის თავისუფლებისთვის რომ იბრძვის, ეს უკვე საზოგადოების მასხრად აგდებაა.

აქვე, ერთსაც გეტყვით: დღეს, შეიძლება მსოფლიო პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალოს თუ ტრამპი არ მოკლეს. ამერიკას სათავეში ეროვნული კაცი ჩაუდგა. ჩვენთან კი რა ხდება — ერი გაცლილია ყოველგვარი ეროვნულობისგან. ტელევიზიიდან და პრესის ფურცლებიდანაც ლიბერასტრები გვმოძღვრავენ. სულ სამი გაზეთია, რომელიც ეროვნულ ფესვებზე დგას და სამშობლოს ემსახურება: „ასავალ-დასავალი“, „საერთო გაზეთი“, „საქართველო და მსოფლიო“. გაგიკვირდებათ, მაგრამ რაც თავი მახსოვს და „რეზონანსი“ გამოდის, მისი არცერთი ნომერი არ წამიკითხავს. იმიტომ, რომ ამ გაზეთს საკუთარი პოზიცია არასოდეს ჰქონია.

— ბატონო ელიზბარ, ტრამპმა ფიცის დადებისას თქვა: ღმერთი გადაგვარჩენს მე და ამერიკასო. ჩვენ რა გადაგვარჩენს?

— ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გამოფხიზლება გადაგვარჩენს. ჩვენი მოვალეობაა — უნდა დავიცვათ ქვეყანა და ხალხი. გლეხი ჩემზე ნაკლებ როდი აზროვნებს. ჩვენ კი სოფელი უკუვაგდეთ, დავცალეთ. ბატონმა ბიძინამ მოსვლისთანავე სოფლის მეურნეობა წინ წამოსწია. მაინც უმადურნი არიან. უმადური არის ღორი — გინდა მარგალიტი დაუყარე, გინდა კურკლი, მაინც ვერ გააძღებ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

წინ, ენდემური ჯიშებისკენ!

ინტერვიუ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, ბატონ ბესიკ ფარცვანიასთან

ბატონი ***ბესიკ ფარცვანია*** *სულ რაღაც სამიოდე თვეა მუშაობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტი გამგეობის თაავმჯდომარედ, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში გრკვეული თადარიგია დაჭერილი ლაკადის (სამეგრელოს მთიანეთი) ინფრასტრუქტურის ახლებური გააზრებისათვის.*

ბატონი ბესიკი მეტწილად კომერციულ სტრუქტურებში უწევდა ტრიალი, „ბლოკ ჯორჯიადან“ მოყოლებული, სამშენებლო კომპანია „ენგური+“-ში, მესვეურობდა ბრიტანულ ცენტრს ზუგდიდში, მოკლედ იგი თანამედროვე მოთხოვნების სტილის ტიპური წარმომადგენელია. მუნიციპალიტეტის გამგებელს ესაუბრება მწერალი ***გური ოტობაია****.*

— ბატონო ბესიკ, ორიოდე სიტყვით, რა ფაქტორმა განაპირობა წალენჯიხაში თქვენი არჩევა მუნიციპალიტეტის გამგებლად?!

— სამი წელი გახლდით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სოფელ ლიას ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარდგენით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ ჩემი ამომრჩევლის წინაშე ვყოფილიყავი პიროვნება, რომელსაც პირველ რიგში შეეძლო საკუთარი მოქალაქეების აზრის გაზიარება და მათი ავკარგიანობის გულთან მიტანა. თვითმმართველობის არჩევნებისას, გადაწყდა, რომ ვყოფილიყავი გამგებლობის კანდიდატი. მოსახლეობის მეტმა ნაწილმა ნდობა გამომიცხადა, რაც ძალიან დიდი ვალდებულებაა და აქედან გამომდინარე, უფლება არ მაქვს მათი იმედები გავაწბილო.

— ბატონო ბესიკ. როგორც ვიცი, ენდემური ჯიშების და ტრადიციული კულტურების აღორძინებას აპირებთ. ძიკი კვარაცხელიას ოქროსფერი შეფერილობის საქონელი საქვეყნოდაა ცნობილი. იგი ექვემდებარებოდა მომთაბარეობას, და ამდენად, მორგებული იყო ჩვენს ეკო-სისტემას, ჩვენს ყოფას. როგორ აპირებთ რეგიონში ამ ვაკუუმის ამოვსებას, ბაგურ კვებაზე მყოფი შვიცი, ველის წითელი, ჰოლანდიური ძროხები მძიმე ტვირთად აწვა ჩვენს მეცხოველეობას, რადგანაც ერთი სული საქონლის გამოკვებას ერთი ჰექტარი მიწა ჭირდებოდა, მაშინაც და ახლაც. ამისი საშუალება კი ნამდვილად არ გაგვაჩნდა მცირემიწიანებს.

- ძიკი კვარაცხელიას ჯიშის საქონლის მოშენებასთან დაკავშირებით მუშაობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური და ვიმედოვნებ საფუძვლიანად მოხდება ამ საკითხის შესწავლა და დადებითად გადაჭრა. მე მიხილავს ძირით წალენჯიხელი კაცის, აწ ნეტარხსენებული **ჯონი ფიფიას** მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობა პატარა ფოთში. აქ მან ასამდე სულ საქონელს მოუყარა თავი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ზუსტად ძიკი კვარაცხელიას ჯოგისთვის დამახასიათებელ ეგზემპლარებს. ამ მეცადინეობას თითქოს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ საინტერესო წამოწყება შეაჩერა. ახლა ჯონის ვაჟი ბაკური განაგებს ამ საქმეს და მხარდაჭერა თუ იქნება, მეიმედება იდეას გამარჯვება უწერია. გასული საუკუნის იტორიიდან ცნობილია, რომ საქართველოში ჩამობრძანებულ რუსეთის ნეფეს, ნიკოლოზ მეორეს **ძიკი კვარაცხელიამ** ასი სული რჩეული ხარი მიუძღვნა საჩუქრად, იმნაირად ჩაკურატებულები ქედზე კვერცხი რომ დაგედო არ ჩამოგორდებოდაო. ენდემური ჯიშების აღდგენა მამულიშვილური საქმეა, ჩვენ ამ მიმართებით უკვე დავსახეთ გარკვეული ღონისძიებები.

- რა ხდება ქართული ფუტკრის ასაღორძინებლად?! ეს უნიკალური ჯიში ლამის გადაშენების პირას მივიყვანეთ ჩვენი უყაირათიანობით და უცხოური ეკონომიკური დივერსიებით, როგორიც „მარტინ ბაუერის“ ფსიქოლოგიის კომპანიებმა დაგვმართეს...

— ქართული ფუტკრის შენარჩუნებასა და მისი მოშენების საკითხებზე განსაკუთრებული მნიშვნელობით მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. არაერთი ტრენინგი ჩაუტარდათ ფერმერებსაც და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით ოჯახებს გადაეცათ სანაშენე ფუტკარი. მე კარგად მახსოვს წალენჯიხელი მეფუტკრე **კოჩია ქარდავა** ხუბერში. იგი ტონობით თაფლს აბარებდა სახელწიფოს. კოჩიას ჰყავს მიმდევრები, მართალია, შედარებით მცირე მასშტაბით - **ფრიდონ კოდუა, სიმონ ფიფია** ზუგდიდში. **ბონდო აბაშიძე, კახა თოლორაია, ირაკლი ჩიქოვანი** ჩხოროწყუში. **ტოტო** და **სოსო სამუშიები, ძმები ქარდავები — თორნიკე** და **თენგიზ** წალენჯიხაში. მუხურის გრძელხორთუმას სახელით ცნობილი ქართული ფუტკარი, მართლაც უნიკალური სახეობაა, 2 მილიმეტრით გრძელი ხორთუმი გააჩნია ნებისმიერ პოპულაციაზე და ამდენად, მის მიერ მოპოვებული თაფლი გაცილებით მაღალი ხარისხისაა, უფრო მარგებელია. წალენჯიხას და ჩხოროწყუს ერთი მაჟორიტარი გვყავს, უნარიანი, მონდომებული პიროვნება **გოგა გულორდავა**. დარწმუნებული ვარ იგი ძალღონეს არ დაიშურებს ქართული ფუტკარის სახელის სამშობლოდან შორს გასატანად, როგორც ეს იყო ადრეულ წლებში. მარტო ფუტკრის სადედების ექსპორტით თავისუფლად შეუძლია ჩვენს ლაკადას მუხლში მომაგრება. რაც შეეხება თაფლს, მჯერა, სულ მალე ჩვენი ქვეყანა სარეალიზაციოდ გაიტანს მას საზღვარგარეთ.

ბესიკ ფარცხვანია და გური ოტობაია

ბესიკ ფარცხვანია და ლევან შონია

— გასაგებია მარტო ინვესტიციები არ კმარა, ისინი თავზე საყრელადაც რომ გვქონდეს, უცხოური ბაზრის გარეშე ჩვენს ცხოვრებას საშველი არ უწერია. მაგრამ ცოტაა განა, ბატონო ბესიკ, ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილება. განა სიბეცე არ არის ჩაი აზერბაიჯანიდან შემოგვქონდეს, ბოსტნეული თურქეთიდან და ფრინველის ხორცი ბრაზილიიდან, თანაც რამდენადაა სანდო ისინი, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მოვუსმინოთ: საქართველო გენიციდის წინაშეა შეუმოწმებელი პროდუქციითო.

- ქართული პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფომ დაიწყო ისეთი პროგრამების ამოქმედება როგორიცაა - ყველაფერი ქართული. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საქართველოში დაიწყოს სუფთა პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ მოსახლეობას ამ კუთხით. მუნიციპალიტეტში გვყავს მცირე ფერმერები, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა სახის პროდუქციას, არის სათბურები, სადაც მოჰყავთ ბოსტნეული კულტურები, რითაც ნაწილობრივ მარაგდება ადგილობრივი ბაზარი. თუმცა ჩვენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მოსახლეობამ უფრო მეტად შეძლოს ადგილობრივი პროდუქციის წარმოება, რაც რა თქმა უნდა არის გარანტია ქართული გენოფონდის გადარჩენისა.

— ვიცით ჩინელი ცოლ-ქმარი ჩამობრძანებულა წალენჯიხაში, გვიხილავს მათი ფოტოები სამეგრელოს გუბერნატორთან, ბატონ ლევან შონიასთან ერთად. მაგრამ უცნობია ამის შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდა.

— რაც შეეხება ჩინელი ინვესტორების დაინტერესებას ქართული ჩაით. მოგახსენებთ, რომ წლების განმავლობაში გავერანებული იყო პლანტაციები, რომლის გამოყენა და რეალიზაციაც ფაქტობრივად წარმოუდგენელიც კი გახლდათ. ამ მიმართებით ბევრს მეცადინეობდნენ ჩვენში უფროსი თაობის წარმომადგენლები წალენჯიხიდან — **ვალერი კვარაცხელია, გონერი სალია,** ზუგდიდში სოფლის მეურნეობის ექსპერტები — **ვაჟა ფიფია, კლიმენტი კიკალიშვილი,** მაგრამ მათ მუხლჩუხრელ თავგამოდებას შედეგი არ მოჰყოლია. შეიცვალა დრო, შეიცვალა ხელისუფლება, დამოკიდებულება ფასეულობებისადმი და ჩაის აღორძინება დღის წესრიგში დადგა. მართალია, ჩაი არ არის ენდემური სახეობა, თუმცა იგი ზედმიწევნით მოერგო ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, სოფელი წელში გამართა. აკადემიკოსმა **ქსენია ბახტაძემ** მეცნიერთა ჯგუფთან ერთად კი, ჩაის ახალი ქართული ჯიში გამოიყვანა, რომელმაც პროდუქციულობით, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლით უკან ჩანოიტოვა ინდო-ჩინური ჩაი. აქედან გამომდინარე, ჩვენი მხარის გუბერნატორი **ლევან შონია** ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენს რეგიონში კვლავ აღორძინდეს ზემოთხსენებული კულტურა და სწორედ ეს გახლდათ ჩინელი ინვესტორების ვიზიტის საფუძველიც. ამ ეტაპზე მთავარია პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ჩაის კულტურის გამოყვანა ხელს შეუწყობს დასაქმებას და მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესებას.

— დაბოლოს, ხელოვნება, ბატონო ბესიკ, ჩვენ წალენჯიხაში ტრადიციულ დამკვიდრებულ ტერენტობას ვსტუმრობდით შარშან მშვენიერ სახლ-მუზეუმში, მაგრამ საინტერესოა რა ხდება სხვაგან. მაგალითად, ობუჯში. აქ, ერთ სოფელში, ცნობილ მწერალთა და ხელოვანთა მთელი გალერეაა თავმოყრილი.

— წალენჯიხას არაერთი სახელგანთქმული პიროვნება აღუზრდია და აუცილებელია მათი ისტორია და ცხოვრებისეული მატიანე შევუნარჩუნოთ მომავალ თაობებს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ვგეგმავთ აღვადგინოთ და რესტავრაცია ჩავუტაროთ სახლ-მუზეუმებს, როგორც ობუჯში ასევე ნაკიფუში, ჩქვალერში, ლიაში და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ამჯერად ამით შემოვიფარგლებით, ბევრ ლაპარაკს ცოტა საქმე სჯობია, ცოტა, მაგრამ — კარგი.

ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმი

რედაქციისგან:

მისასალმებელია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ინიციატივა, რომელიც ენდემური ჯიშების და ტრადიციული კულტურების აღორძინებას ითვალისწინებს.

ვფიქრობთ, ეს ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წამოწყებაა, რომელიც ხელისუფლებიდან მხარდაჭერას, თანადგომას და წახალისებას იმსახურებს.

„საერთო გაზეთი“ შეეცდება კვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით მომავალშიც გააგრძელოს ამ თემის გარშემო საუბარი.

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“...

რამოდენიმე დღის წინ სიცრუის, უზნეობის და ბოროტების გამავრცელებელმა ტელევიზიამ „ცრუსთავი-2-მა“ პროტესტის შესანიშნავ ფორმას მიმართა და დაბნელდა. აღნიშნული ქმედებით ხელისუფლება და საზოგადოება „დატესტეს“ ...მანამდე კი მისმა უზნეო დამცველებმა საზოგადოებას „შეახსენეს“ „რუსთავი-2-ის“ დამსახურებები. მაია ასათიანმა „იმედის დარბევას“ ვერავინ ნახავდა, რომ არა „სიცრუის“ ტელევიზიის გმირებიო. ეტყობა დაავიწყდა მათი მამა-მარჩენალი „ნიკოლოზ პატარა“ აღნიშნულ პერიოდში პროკურორი, იყო და „იმედს“ ტენდენციურ ანტისახელმწიფოებრივ მედიად ნათლავდა. როცა იმედს არბევდნენ, „რუსთავი-2“ გადატრიალებაზე ლაპარაკობდა...დიმიტრი შაშკინმა სოციალური ქსელის საშუალებით დამოძღვრა სატანის მრევლი – „რუსთავი-2“ წლების განმავლობაში გვიცავდა ყველას, მოვიდა დრო, ჩვენც დავიცვათ „რუსთავი-2“. „რუსთავი -2“ არის უკანასკნელი ინსტიტუციური ბასტიონი, რომელიც აშორებს საქართველოს ჩრდილოეთ კორეის მსგავსი პოლიტიკური

წყობისგან. „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები არიან ბოლო იმედი ბევრი ადამიანისთვის, რომ მერიაში, საკრებულოში თუ სამინისტროში გაღორებული ჩინოვნიკები არ წაართმევენ ბოლო ლუკმა პურს.“ კიდევ არაერთმა „მამალმა ნაცმა“ აფრქვია „ქებაი და დიდებაი“ იმ ტელევიზიის მისამართით რომელიც ნაცხროვასთან ერთად გემრიელად ილუკმებოდა თანამემამულეების სისხლით, მოკლედ ნაცხროვის და მათი რუპორის რწმენით, რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“ არ იქნებოდა მზე, მთვარე და ვარსკვლავები, სიცოცხლეც კი არ იქნებოდა დედამიწაზე. არადა, მართლაც საინტერესოა რა იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“. მიშამდე და მიშას შემდგომ. რადგან ისტორიას სწორედ ამ პრინციპით ყოფენ მიშმადიდებლები. დიდი ობიექტურობით არც მანამდე გამოირჩეოდა სანამ მიშა მათი დახმარებით ხელისუფლებას ძალადობის გზით გადაიბარებდა.

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, მიხეილი, ჯორჯის და ჯონის დახმარებითაც ვერ მოახდენდა ვარდების რევოლუციას, ვერ ჩაცეცხლავდა პარლამენტის შენობაში ედუარდის ჩაის, ვერ აირჩევდა და დანიშნავდა გარეწრებს თანამდებობებზე, ვერ გაბედავდა საჩვენებელ - ასეულობით უდანაშაულო ბიჭების ჩახოცვას პირდაპირ ქუჩაში, რომლებსაც შს მინისტრი, რომელსაც სწორედ ცრუსთავის ჟურნალისტები ახლდნენ სისხლიან ნადიმზე.

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, იმედის დაწიოკებას ვერ გაბედავდა ნაცხროვა და ვერც სხვა მედიას დაატერორებდა და დახურავდა. ვერ გამოასახლებდა ხალხს საკუთარი საცხოვრებელი სახლებიდან, ვერ გაბედავდა წაერთმიათ მთელი ცხოვრების მანძილზე ნაგროვები, კონსტიტუციით დაცული კერძო საკუთრება ადამიანებისთვის, რომელსაც ხშირ შემთხვევაში საიკაშვილი თავის ერთგულ „ყმებს“ ერთ ლარად ჩუქნიდა.

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, არ მოხდებოდა ახალგაზრდების გარყვნა, „დასავლურ ღირებულებებს“ ვერ მოახვევდნენ ჩვენს ტრადიციულ ქვეყანას, არ გაიყიდებოდა სტრატეგიული ობიექტები და მიწა-წყალი ჩვენი ქვეყნის მტრებზე, არ დაიქცეოდა ფიზიკურად და მორალურად ქვეყანა. ცოცხალი იქნებოდა ასეულობით ახალგაზრდა. მიხეილის და მისი დასავლელი პარტნიორების გასამდიდრებლად დაწყებულ ომს არ შეეწირებოდა ასეულობით ჯარისკაცი და მოქალაქე., ვერ დაყრიდნენ ბედის ანაბარა ბრძოლის ველზე მიცვალებულებს და არ მიატოვებდნენ დაჭრილებს, შემდეგ სამარცხვინოდ ვერ დაასაფლავებდნენ გმირებს რომლებიც შემდეგ უტიფრად „რუსთავი-2“ „აპრავებდა“ და ყაჩაღებად ნათლავდა ხოლო ზონდერებს გმირებად და ქვეყნის აღმშენებლებად...

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, ვერავინ გაბედავდა სულხან მოლაშვილი, კორუმპირებულ მოხელედ გამოეცხადებია და მის ნაწამებ სხეულზე ეჭვი შეეტანა, თვითდაზიანებაოო ეთქვა და ათასობით სულხანი კიდევ, რომლებიც ნაცხროვას თვალში არ მოსდიოდა.

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, სვანეთში მძიმე არტილერიის და ჯარის თანხლებით ვერ მოაწყობდა საჩვენებელ ხოცვა ჟლეტას უდანაშაულო ოჯახზე, ადამიანებზე მონადირე კურდღელმა, ხოხვის ოსტატმა, ჰალსტუხლოღნერა მხედართმთავარმა გაწირა. არ დავკარგავდით ტერიტორიებს. რომ არ ყოფილიყო რ-2. მიხეილი ვერ გაბედავდა ყიზილბაშების, ჩინელების, ირანელების, არაბების „გაჯეჯილებას“ ჩვენს ქვეყანაში, ვერც იმას გაბედავდა მსოფლიო ბანკიდან და სავალუტო ფონდიდან შემოსული თანხები არამიზნობრივად ეფლანგა და შემდეგ ვალი სახელმწიფოსთვის დაედო. რომ არ ყოფილიყო რ-2 მიხეილი რამოდენიმეჯერ ვერ გახნიდა ჯერ კიდევ დაუმთავრებელ საავადმყოფოებს თუ სკოლებს. ვერ გააჩუქებდა სახელმწიფო საკუთრებას ნათესავებზე და ახლო მეგობრებზე.

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, ვერავინ გაბედავდა ტრადიციულ ქვეყანაში გეების, ლესბოსელების, ტრანსსექსუალების რეკლამირებას თან, ასე თავგამოდებით, როცა მათი დაცვა ეჭვს ბადებს, რომ იგივე პრობლემა აქვთ რაც მათ, ანუ ასევე გაუკუღმართებული ცხოვრებით ცხოვრობენ, თავი რომ დაიცვან ხან პროვინციალიზმს და ხან ისტორიულ წარსულში დაბრუნების უბადრუკ მცდელობას აბრალებენ...

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, არ იქნებოდა 7 ნოემბრის სამარცხვინო ფურცელი საქართველოს ისტორიაში, არ იქნებოდნენ ძაღლის რძით გაზრდილი ზონდერები, რომლებმაც სისხლში ჩაახშვეს ხალხის სამართლიანი პროტესტი და შემდგომ ისევ რუსთავი-2 „აპრავებდა“ ნაცხროვის უსახელო საქციელს. არ იქნებოდნენ თვალებდათხრილი ქართველებიც რომლებსაც სამართლიან მოთხოვნის გამო ქალაქის პოლიციის სამმართველოსთან, თანამშრომლები ზონდერების თანხლებით, კანონით აკრძალული რეზინის ტყვიებით და ხელკეტებით სასტიკად გაუსწორდნენ და არა მარტო მამაკაცებს.

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, არ იქნებოდა 26 მაისს მსხვერპლი. არ გაუსწორდებოდნენ სამართლიანი პროტესტისთვის გამოსულ ხალხს განსაკუთრებული სისასტიკით და არ გათელავდნენ მათ ღირსებას.

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, არ იქნებოდა უამრავი ემიგრანტი, ასიათასობით პრობაციონერი და ათიათასობით პატიმარი, რომლებზეც ათასი ბინძური ექსპერიმენტი ტარდებოდა.

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, სანდრა პატიმრის ორგანოებით ვაჭრობას ვერ გაბედავდა და ვერც სამედიცინო სფეროში ჩაყოფდა თავის ბინძურ ცხვირს. ვერც „რუსეთის აგენტების“ გაუპატიურებას გაბედავდნენ „ბუნკერში“ მაწანწალა ძაღლის მიერ დედაგაუპატიურებული უჯიშო ცხოველები,

რომ არ ყოფილიყო „რუსთავი-2“, კანონის წინაშე ყველა თანასწორი იქნებოდა და ქვეყნის კონსტიტუციას ნაცლიდერები ვერ გააჭენებდნენ სასურველი მიმართულებით. ვერც გვარამია და ადეიშვილი გაბედავდა მოსამართლეების მოქრთამვა პროვოცირებას. რომ არ ყოფილიყო, კარგი იყო რადგან ზიანი რომელიც რუსთავი-2-ის არსებობამ მოუტანა ქართველ ხალხს და ქვეყანას აუნაზღაურებელია. უტიფარი გვარამია ქრისტეს გზაზე ალაპარაკდა, არადა კარგად მახსოვს მედიაში არაერთხელ გაჟღერდა, რომ მისი ძმა თავგადაკლული იეღოველია. სწორედ „რუსთავი-2“ და ნაცხროვა, ფარისევლების მონათესავე ჯგუფებთან ერთად შეთანხმებულად ებრძოდნენ და ებრძვიან პატრიარქს და მართლმადიდებლობას.

ის ადამიანები რომლებიც თავისუფალი სიტყვის დაცვის მოტივით დღეს „რუსთავი-2-ს“ იცავენ, ნაცსექტიდან, მონათესავე სექტებიდან, ფარული თუ შეფარული ნაცები. უკლებლივ ყველა ამართლებს იმ სისხლიან, მტაცებლურ ტერორს რომელიც უსულგულო, ქვეყნის და ხალხის მიმართ მტრულად განწყობილი გარეწრების მიერ იმართებოდა. აქციას არ გამოხმაურებია აშშ ელჩი რაც იმას ნიშნავს, რომ ბოროტების ტელევიზიამ ამოწურა თავის შესაძლებლობები და უსარგებლო გახდა. ისტორია ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს და სამართლიანად დარჩება „რუსთავი-2“-ს სიცრუის, ბოროტების, ქვეყნის და ხალხის მოძულე ტელევიზიის სტატუსი.

და ბოლოს, კარგი იქნებოდა რომ არ ყოფილიყო რუსთავი-2. რადგან იყო და უამრავი, გამოუსწორებელი ბოროტება მოასწრო. „გამორთვა“ და „ჩართვაც“ მოასწრო ისე, რომ „უფროსს ძმებს“ არც გახსენებიათ ესეიგი უახლოეს მომავალში სამუდამოდ დადუმდება...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

დავით გაგნიძე:

ნამდვილად არ არის საქართველოში ისეთი მძიმე კრიმინოგენური ვითარება, როგორც ამას მასმედია და ოპოზიცია გვიხატავს

გვესაუბრება პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე.

- დანაშაული როგორ არ ხდება, მაგრამ არა იმ მასშტაბით, როგორც უნდათ რომ მოგვაჩვენონ. დანაშაული ყოველთვის ხდებოდა და მოხდება, რომელი პარტიაც არ უნდა იყოს ხელისუფლების სათავეში. დღევანდელი პოლიტიკური ვითარება ძალიან მაგონებს, შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდს, როცა მაშინდელი ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები, შემდგომში ნაციონალებად „გადანათლულნი“, სპეციალურად ამუქებდნენ სურათს. მაშინაც „რუსთავი-2“-ის მეშვეობით ხდებოდა სახელმწიფოს დისკრედიტაცია, რაც დღესაც გრძელდება, ნაციონალები და მათი სატელიტები ხომ გაბუქების „დიდოსტატები“ არიან. უბრალოდ, ის მიკვირს, სხვა ტელევიზიებიც იგივეს რომ იმეორებენ, გადაკოპირებული აქვთ „რუსთავი-2“-ის პროპაგანდა და სისტემატურ რეჟიმში ატრიალებენ. სახელმწიფოს როცა ებრძვიან, პირველ რიგში პოლიცია-პროკურატურას და მართლმსაჯულებას სდებენ ბრალს, გადაავლეთ დღევანდელ პროცესებს თვალი, ხომ აშკარაა რამხელა დარტყმის ქვეშაა ეს სტრუქტურები. მასმედიის მხრიდან (იშვიათ გამონაკლისებზე არ ვსაუბრობ) ასეთი არაჯანსაღი აქტიურობა მაფიქრებინებს, რომ რაღაც ხდება, მალე დიდი პოლიტიკური მოვლენების მოწმე გავხდებით, ამიტომაც საჭიროა სიფრთხილე, რომ ისევ არ გამოგვიყენონ, არ გამოვცვივდეთ მოქმედი ხელისუფლების შესაცვლელად და გაცილებით უარესი არ მოვიყვანოთ. ამის მწარე მაგალითები უკვე გვქონდა. ადგილობრივი არჩევნები ახლოვდება და ეს ვითომდა პროდასავლელი დემოკრატები კბილებს ილესავენ. ნაციონალების გაყოფა არავინ დაიჯეროს, სინამდვილეში ეს არის ერთიანი ბანდა, რომელიც კი არ დაიშალა, გაიშალა, ის „პროგრესულებიც“, რომლებიც ვითომდა გამოეყვნენ ნაცმოძრაობას, ისეთივე ვანდალები არიან, როგორც დანარჩენები. თავს ვერ დავიმშვიდებთ იმით, რომ ნაციონალების ცხრაწლიანმა მმართველობამ ჩვენს ხალხს გამოცდილება შესძინა და აღარ შეცდება, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასმედია, განსაკუთრებით ტელევიზიები სერიოზული ძალაა, რომელიც ხალხს ტვინს ისე ურეცხავს, რომ ბევრ რამეს ავიწყებს. შევარდნაძეს ხალხი იმიტომაც დაუპირისპირდა, რომ მარადიული უშუქობა (განსაკუთრებით რეგიონებში) ვეღარ აიტანესო, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ამაშიც ლომის წვლილი ნაციონალებს მიუძღვოდათ, წყალსაცავებს სპეციალურად აცლევინებდნენ, რომ ხალხი სიბნელეში ყოფილიყო. ენერგეტიკული სექტორი, დღესაც ამ ხალხის ხელშია. ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ნაცმოძრაობა რუსეთ-ამერიკის ერთობლივი პროექტია, ნაციონალებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მოსახლეობისთვის დასავლეთი შეეძულებინათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდი ძალისხმევით გაყვანილი რუსული ჯარი, სააკაშვილმა უკან შემოაყვანინა, ტერიტორიებიც გადაუფორმა, ამაზე დიდ საქმეს ვინ გაუკეთებდა რუსეთს?! ყველა უბედურებასთან ერთად, საქართველოს რვამილიარდიანი ვალიც აკიდეს. ამერიკა ოთხი მილიარდით რომ დაგვეხმარა, სად წავიდა ის ფული, ამაზე ხმას რატომ არავინ არ იღებს?

- ეტყობა ნაციონალების მამა-მარჩენალ მაკეინს ტურიზმის სფერო უფრო აინტერესებს. სანდო წყაროს ინფორმაციით, სვანეთში თითქმის ყველა მსხვილი ტურისტული ობიექტი მას ეკუთვნის, იქაური სამშენებლო ბუმი, მაკეინის „დამსახურებაა“.

- ალბათ ის ოთხი მილიარდი და სხვა დანარჩენიც მაგ მშენებლობებს მოხმარდა. ადრეც გითხარით, 55-დან 60 მილიარდამდეა გატანილი საქართველოდან, ეს ცარიელი სიტყვები არ არის, პროფესიონალმა ეკონომისტებმა დათვალეს, თუმცა ამ თანხის დაბრუნებაზე რატომღაც არავინ საუბრობს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ გავლენიანი ფიგურები დგანან ამ ყველაფრის უკან. დავუბრუნდეთ, საუბრის მთავარ თემას, ვიმეორებ, კრიმინოგენური ვითარების გამწვავებაზე საუბარი უსაფუძვლოა, დანაშაულის სტატისტიკა აშკარად ნაკლებობისკენაა. ეს დაჭრები და მკვლელობებიც, რომლითაც საინფორმაციო გამოშვებებს იწყებენ, ძირითადად, საზოგადოებისთვის მეტნაკლებად ცნობილ ადამიანებს ან მათ საახლობლოს უკავშირდება. 2001 წელსაც დანაშაულის სტატისტიკა ნაკლები იყო, მაგრამ რეზონანსული დანაშაულობები, თანამდებობის პირების და უცხოელების მკვლელობები და გატაცებები ხდებოდა. ახლა არ არის ის მასშტაბები, მაგრამ მასმედია ცდილობს აპოკალიფსი დახატოს, აქედან გამომდინარე, ძალიან მალე, სადღაც 2-3 თვეში სერიოზული პროცესები დაიწყება. ბევრი ადამიანი საერთოდ აღარ უყურებს ქართულ ტელევიზიებს, ვინც უყურებს მათგანაც უმეტესობა ასე ვთქვათ, ერთობა, იცინის ამ სისულელეებზე. მართლაც ბრძენი ყოფილა ქართველი ხალხი, თორემ თითქმის 30-წლიანი ტვინის რეცხვის შემხედვარე სხვა ერს, მასობრივი ფსიქოზი დაემართებოდა. სხვათა შორის, ხსენებული მკვლელობები და თვითმკვლელობები ამ ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგია, სახეზე გვაქვს სულიერი კრიზისი. სუსტი ნებისყოფის ადამიანი უმწეოდ რომ გრძნობს თავს, გამოსავალს თვითმკვლელობაში ხედავს.

ისიც აშკარაა, რომ ფარული გადანაწილების პროცესები მიდის, რასაც თანმდევი პროცესები ახლავს, ყოველთვის ხდება რაღაც კრიმინალური სახის. როგორც გითხარით, ეს ყველაფერი იმის მიმანიშნებელია, რომ პოლიტიკურად მალე რაღაც შეიცვლება. სიფხიზლე გვმართებს, რომ უარესობისკენ არ შეიცვალოს, სააკაშვილი არა, მაგრამ შეიძლება მოდერნიზებული სააკაშვილი მოვიდეს, ოპოზიციურ სპექტრის ნაწილს სახელი აქვს გატეხილი, ამიტომ შეეცდებიან ახალი ფიგურა შექმნან.

- ბატონო დავით, დონალდ ტრამპმა ყალბ ფასეულობებს რომ ბრძოლა გამოუცხადა, იმიტომაც გახდა ამერიკის პრეზიდენტი, მაგრამ, როგორც ჩანს, პოზიცია შეიცვალა...



- რა იცით, რომ შეიცვალა, ენდობით ე.წ. პროდასავლელ პოლიტიკოსებსა და მედიასაშუალებებს? გაიხსენეთ ამერიკის ელჩი ბასი, რომელიც იმდენად აღარ ენდობოდა ქართულ ტელევიზიებს, რომ ბოლოს თავისი განცხადებები ამათ კი არ გადაათარგმნინა, თვითონ გამოვიდა ტელევიზიით რასაც ქართული სუბტიტრები ერთვოდა. მან კარგად იცოდა, რომ რამდენიმე სიტყვის შეცვლა პრობლემას არ წარმოადგენდა, რაც აზრს მთლიანად ცვლიდა. ამერიკაში კი შეიცვალა გლობალიზაციისა და ფსევდოლიბერალიზმის მიმართ დამოკიდებულება, მაგრამ საქართველომდე ხომ უნდა მოაღწიოს ამ ყველაფერმა, რასაც დრო ჭირდება. ამერიკის ელჩი ისევ პრეზიდენტ ობამას დანიშნულია, თეთრი სახლის ადმინისტრაცია ბოლომდე არ შეცვლილა და იან კელიც ძველების აზრს ახმოვანებს. როცა ჩვენამდე მოაღწევს ეს ტალღა, აქაც ბევრი რამ შეიცვლება. აფხაზეთშიც უკვე სხვა პროცესები მიდის, აფხაზები რუსეთის წინააღმდეგ გამოდიან, ახლახანს სოჭიდან მომავალ ავტობუსებს გაგრაში ქვები ესროლეს. აფხაზები აშკარად გამოთქვამენ უკმაყოფილებას, ჩვენ იმისთვის კი არ ვიბრძოლეთ, რომ სომხები თავზე წამოგვასხდნენო. მოგეხსენებათ, სომხებმა კულტურული ავტონომია მოითხოვეს. ისეთი პროცესები მიდის, რომ ამერიკა და რუსეთი მოილაპარაკებენ, კავკასია რუსეთის გავლენის ქვეშ დარჩება და ჩვენ ტერიტორიულ მთლიანობას აღვიდგენთ. საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი ძალიან გააღიზიანა პარლამენტიც ვიცესპიკერის თამარ ჩუგოშვილის განცხადებამ, რომ პუტინის პოზიცია, საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ, რუსული პროვოკაციაა და თავიდან უნდა ავირიდოთ. ჩუგოშვილი მიუხედავად თავისი თანამდებობისა, არ გამოხატავს საქართველოს ხელისუფლების, მითუმეტეს მოსახლეობის პოზიციას. ღიად რომ არ ფიქსირდება ხელისუფლების აზრი, ეს არ ნიშნავს, რომ ჩუგოშვილისნაირად ფიქრობენ.

ტრამპის გაპრეზიდენტება ევროპას უკვე შეეტყო, მალე იქაც ეროვნული ღირებულებების მატარებელი პერსონები მოვლენ ხელისუფლების სათავეში. საქართველოში ამერიკის შემდეგ რომ ჩატარებულიყო არჩევნები, დარწმუნებული ვარ ფსევდოლიბერალები ვერც პარლამენტში მოხვდებოდნენ და ვერც სხვა თანამდებობებზე. როგორც გითხარით, ჩვენთანაც ბევრი რამ შეიცვლება, არც ის არის გამორიცხული, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, რადგან პარლამენტში ისეთი ხალხია მოხვედრილი, რომელიც თვითონ ამერიკას აღარ ენდომება. თუ ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობები დალაგდა, აღარ იყო დაპირისპირება, მგონი, ქართველ ფსევდოლიბერალებს კრემლში მირბენას ვერავინ დაასწრებს. ვადამდელი არჩევნები რომც არ ჩატარდეს, „ჩუგოშვილი და კომპანია“ დიდხანს მაინც ვერ დარჩებიან ხელისუფლებაში, მათ რაიმე თანამდებობებზე დანიშნავენ მთავრობაში, აქ ხართ საჭიროო, ესენიც ირბენენ ევროპაში „გლობალური“ პრობლემების მოსაგვარებლად, რის მომგვარებლები არიან კარგად ვიცით და მაქსიმუმ, 2-3 თვეში უმტკივნეულოდ გაათავისუფლებენ. აი, ასე „ხავერდოვნად“ შეიცვლება ფსევდოლიბერალების მმართველობა. დაზუსტებით ვერ ვიტყვი, რა და როგორ მოხდება, მაგრამ ცვლილებები გარდაუვალია.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ბასილი მკალავიშვილი:

დღეს ცვლილებების ქამი დადგა. საინტერესოა, ვის ვიხილავთ პატრიარქის სავარძელში, ვის ფსიქიატრიულში და ვის - ციხეში...

გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბასილი (მკალავიშვილი)

— მამაო, რას იტყვით მამა გიორგი მამალაძეზე, რომელსაც მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მოწამვლის მცდელობა ედება ბრალად?

— რაც ხდება მამა გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით, ეს არის ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დაგეგმილი სპექტაკლი. ამჯერად მათ მოახერხეს და არეულობა შეიტანეს, როგორც საპატრიარქოში, ასევე პროკურატურაში.

როგორც ჩანს, ირაკლი მამალაძეს „რუსთავი-2“-მა გადაუხადა, რათა დაესმინა პროკურატურაში თავისი მოგვარე. პარალელურად, „რუსთავი-2“-ს აწვდიდა ინფორმაციას.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს საპატრიარქოში განუკითხაობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. პატრიარქი ვერ მორჩილებს, როგორც ეპისკოპოსებს, ასევე მღვდლებს. ფაქტი სახეზეა, შეიძლება სასულიერო პირი ეწოდოს მღვდელს, რომელიც ღია ეთერში თამამად აცხადებს, რომ მარიხუანა სახლში აქვს დათესილი და ეწევა კიდეც? ყოვლად მიუღებელია ე. წ. მეუფე პეტრეს სატელევიზიო გამოსვლები. ღვთის მსახური, რა იერარქიის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, უნდა განიცდიდეს ეკლესიის წიაღში არსებულ სავალალო მდგომარეობას, ცრემლებად უნდა იღვრებოდეს და გამოსავალს ეძიებდეს. ნაცვლად ამისა, ეპისკოპოსი გამოდის საზოგადოების წინაშე და სიცილ-ხარხარით ჰყვება ამ საშინელებას. ეს ხომ ერის დაცინვაა, შეურაცხყოფაა სარწმუნოებისა, რომელსაც, როგორც ვხედავთ, ფორმალურად ემსახურება. ასე წარმოაჩენენ უღირსი სასულიერო პირნი ეკლესიის სახეს, საუბედუროდ, მსგავსნი მრავლად არიან საპატრიარქოს წიაღში.

რაც შეეხება პატრიარქის მოწამ ვლის მცდელობას, ეს შესაძლებელი იყო, რამეთუ უწყით, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მიხედვით, მოყოლებული 1917 წლიდან, ყველა პატრიარქი საეჭვო ვითარებაშია გარდაცვლილი და რატომღაც ამას შემდგომ პატრიარქს აბრალებენ. ხშირად ვიხსენებ დავით დევდარიანის ბურუსით მოცულ გარდაცვალებას (ამის შესახებ თქვენს გაზეთშიც იწერებოდა). მის მიერ დაწერილი ანდერძი ხელიდან ხელში გადადიოდა თურმე.

თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილების შემდეგ ჩემთან მოვიდა ერთი მოხუცებული ქალბატონი, რომელიც ქაშვეთის ეკლესიაში მსახურობდა და პატრიარქთან დაახლოებული პირი იყო. მან მომითხრო, რომ პატრიარქის დაწერილ ანდერძს არავინ უყურებდა, რამეთუ სეიფის გასაღები 3-4 პიროვნებას ჰქონდა, კერძოდ, რელიგიური საბჭოს წარმომადგენელს გაიოზ კერატიშვილს, ილია II-ის წარმომადგენელს. ყველამ უწყოდა, რომ პატრიარქად ილარიონ სამხარაძე მოიაზრებოდა, მაგრამ სეიფის გახსნის შემდეგ პატრიარქად ილია II ვიხილეთ; კერატიშვილი ციხეში, ხოლო სამხარაძე — საგიჟეთში. დღეს წვლილებების ჟამი დადგა. საინტერესოა, ვის ვიხილავთ პატრიარქის სავარძელში, ვის ფსიქიატრიულში და ვის — ციხეში... ასე რომ, წარსული მეორდება, ჩემო კარგო.



მეუფე პეტრე (ცაავა)

— კვლავ გიორგი მამალაძეს დავუბრუნდეთ.

— დიახ. მინდა პარალელი გავავლოთ წარსულსა და აწმყოს შორის. დღესავით ნათელია, რამდენი ეპისკოპოსი იბრძვის პატრიარქობისთვის. არც მალავენ. სიმართლეს თვალები გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ დღეს ეკლესიაში ისეთი არეულობაა, აუცილებელია დავით აღმაშენებლისნაირი ან თუნდაც ზვიად გამსახურდიასნაირი მეთაური, რათა სასწრაფოდ მოიწვიონ რუის-ურბნისის მსგავსი კრება. განიწმიდოს ეკლესია უღირსთაგან და შემდეგ იწყონ მსჯელობა, ვინ დაიკავებს პატრიარქის სავარძელს, რომლისკენაც ასე გამალებით მიილტვიან. ერთი ვერსიით, სწორედ ახლა ნახეს ადვილი გზა მიზნის მისაღწევად. თითქოს პატრიარქმა ოპერაცია ვერ გადაიტანა და დაბრკოლებაც გადალახული იქნებოდა, მაგრამ კიდევ უფრო სხვა ინფორმაცია მაქვს. საპატრიარქოში ყველაზე მკაცრი და უმსგავსოების მიმართ დაუნდობელი მებრძოლი ეპისკოპოსი იაკობ იაკობაშვილია, რომელიც ვერ იტანს უღირს სასულიერო პირებს, მკაცრად ამხელს მთავრობის ყოფილ თუ ფაქტობრივი ხელისუფლების უნიათო წარმომადგენლებს.

იქედან გამომდინარე, რომ კონკრეტულად არ იყო დასახელებული სასულიერო იერარქი პიროვნულად, იკვეთება, რომ საწამლავი სწორედ მეუფე იაკობისთვის იყო გამიზნული. „რუსთავი-2—“ის ღია ეთერში წაიკითხეს მამა გიორგი მამალაძის წერილი, რომლითაც სინოდისთვის უნდა მიემართა. როგორც განაცხადეს, ეს წერილი დაუბლოკავს მეუფე იაკობს.

მოვიყვან ფრაზის ციტირებას, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტმა წაიკითხა: „ეს წერილი დაბლოკა იაკობ იაკობიძემ“...

ისმის კითხვა: მამა გიორგიმ მეუფე იაკობის გვარი არ იცოდა, რომ ის იაკობაშვილია და არა იაკობიძე? აღნიშნული ტელევიზია რომ ეკლესიის დაუძინებელი მტერია, ყველამ უწყით. ასევე უწყით, რომ მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრები ტელეკომპანიას, როგორც უნდათ, ისე იყენებენ.

ამ შოკისმომგვრელმა ფაქტმა, რომელიც მთელი ერის სალაპარაკო და განსასჯელი გახდა, ბუნებრივია, ოკეანის გაღმელთა და დასავლეთის წისქვილზე დაასხა წყალი, რამეთუ, რაც ჩვენს ქვეყანაში სარწმუნოებისა და ერის საწინააღმდეგო მოვლენები ხდება, გარკვეულწილად, სწორედ იქიდან იმართება.

იეღოველთა სექტის წარმომადგენელნი შემოესივნენ საქართველოს და ყოველგვარი მზაკვრული ხერხებით ცდილობენ ამორალიზმი, გარყვნილება დანერგონ ერში და ასე „მომზადებული“ წაიყვანონ ევროპისკენ. შორს არ მივდივართ. სულისწამწყმედელი სოროსის ფონდის დამაარსებელი თვით პრეზიდენტი მარგველაშვილი არ არის? ყოფილი პარლამენტის თითქმის მთლიანი შემადგენლობა სარწმუნოების მტრები არ იყვნენ ნაციონალების სახით, რომელთაც დღესაც ჰყავთ დასაყრდენი ძალა საპატრიარქოში, სასულიერო იერარქიაში, ისინი ახლაც საკაშვილს მისტირიან და კვლავ ცდილობენ, დააბრუნონ ამორალური რეჟიმი საქართველოში, მაგრამ ამას ღმერთი არ დაუშვებს. მათი სახელები არაერთხელ ვაუწყე მოსახლეობას და ამჯერად აღარ გავიმეორებ.

პირწავარდნილმა სოროსმა, რომელსაც ამერიკის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „სახელმწიფოს საშიშროება“ უწოდა, ბინძური გრანტებით მოსიყიდა საქართველოს მოღალატენი ბოკერიას თამადობით და სააკაშვილის დახმარებით ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლობას.

მე თავს უფლებას ვერ მივცემ, ვხედავდე დანაშაულს და პირში წყალი ჩავიგუბო, რამეთუ დუმილით დამნაშავეთა თანაზიარი ხდები. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მე, პირადად, ათეული წლების წინ, 1995 წლიდან განვეშორე საპატრიარქოში არსებულ უმსგავსობას. ვგრძნობდი, რა შავი ღრუბელი გროვდებოდა ჩვენი ერის, სარწუნოების თავზე. აქედან მოყოლებული, მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად ვიბრძოდით, რათა გამოსულიყო საქართველო მსოფლიო ეკუმენისტური საბჭოდან, აგველაგმა იეღოველთა სექტის აღვირახსნილი ქმედება. მაშინ დუმდა საქართველო, დუმდა ეკლესიაც. არ ელოდნენ, თუ ამ დღეში ჩავცვივდებოდით. უკომპრომისოდ ვამხელდი მათ, საქართველოს ეკლესიამ ლომის წილი დადო 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების და საქართველოს პირველი ღვთივკურთხეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განდევნაში.

როცა ნახეს, რომ მე ვერ შევეგუებოდი არაქრისტიანულ ქმედებებს, აქეთ დამიწყეს შემოტევა და ყოველი ღონე იხმარეს, რათა დაგვეტოვებინა ჩვენივე აშენებული ლომისის წმიდა გიორგის ტაძარი. ამ პროცესს მაშინ ხელმძღვანელობდა პატრიარქის სიძე მიქაელ წურწუმია, რომელსაც ერთი აგურიც კი არ დაუდვია ამ ეკლესიის მშენებლობაში.

— მამაო, როგორ ფიქრობთ, რითი დამთავრდება ყოველივე ეს?

— რა გითხრათ. როგორც თავად აღნიშნავენ, მართლაც დიდ შარში გაეხვია საპატრიარქო. ეს მოსალოდნელიც იყო. ნუთუ არ დაფიქრებულან მაღალი იერარქიის სასულიერო პირნი, რომ ისინი პირად ინტერესებს საშობლოზე, სარწმუნოებაზე მაღლა აყენებენ? უფალი ჩვენთვის ეცვა ჯვარს, ჩვენ კი ასე ვპასუხობთ? ასეთი შავბნელი გზით მოპოვებული სავარძელი რად უნდათ, ნუთუ არ განიცდიან სინდისის ქენჯნას, რა ფასი ექნება მათ ქადაგებას, რა უნდა ასწავლონ ერს.

დარწმუნებით გეტყვით, ახლო მომავალში აირჩევენ პატრიარქის თანამოსაყდრეს, რამეთუ მართლმორწმუნე ერის ჭეშმარიტ ნაწილს წინამძღოლი სჭირდება. ასეთი ქაოსი დამაბრკოლებელია ეკლესიის და მრევლის. თუ პირველ საუკუნეებში ხორციელად ეწამებოდნენ ქრისტეს სჯულისთვის, ახლა თითოეული ჩვენგანის რთული სულიერი გამოცდა ხდება, რათა სულიერად განწმენდილნი მივაბიჯებდეთ ქრისტეს ეკლიან ბილიკზე და არა შეწყდეს მადლიანი გზა მიმყვანებელი უფალთან, არა ჩაქრეს სარწმუნოების ჩირაღდანი, რომელიც თითოეული ჩვენგანის გულში ანთია, რომელიც აცისკროვნებს ჩვენს აწმყოს და იმედს გვიტოვებს მომავლისას.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

კონსპირაციული ომი საქართველოს და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გრძელდება

„საერთო გაზეთთან“ ინტერვიუში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფოსი-თეოლოგი დენიზა სუმბაძე აცხადებს, რომ ქართული ეკლესიის წიაღში პრობლემები ეროვნული ხელისუფლების გაძევებისა და ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო:

— 12 წლის განმავლობაში საპატრიარქოს პატრონლოგი, ეკლესიისა და პატრიარქის სადარაჯოზე მდგარი ადამიანი გახლდით. მტკიცედ მწამდა, რომ რომ საქართველო, როგორც ქვეყანა იმდენად სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ქრისტიანობასთან, რომ მისი ინსტიტუტუციონალური აღმავლობა ქრისტიანული ცხოვრების აღდგინებისათვის ყოვლად აუცილებელია. საქართველო, როგორც ინდივიდუალური, ეროვნული წარმომადგენლობის ოჯახი და სახელმწიფო თავის საკუთარ, ძლიერ საყრდენებს გულისხმობს და ჩემი ღრმა რწმენით ეს ორი დიდი საყრდენი საქართველოს ეკლესია და საქართველოს დედა უნივერსიტეტია. პირველი, რამაც შემძრა, ეს იყო დღევანდელი მსოფლიო წესრიგის პრინციპების შემოჭრა საქართველოს ეკლესიაში, თუმცა ეს იმდენად კონსპირაციულად და ფარულად მოხდა, რომ შემჩნევა ძალიან ძნელი იყო.

— საპატრიარქოში ამჟამად მიმდინარე პროცესებს გულისხმობთ?

— ვგულისხმობ პროცესებს, რომლებიც საპატრიარქოში დიდი ხნის წინ დაიწყო. ეკლესიამ, რომელსაც ჩვენი ქვეყნისთვის ყოველთვის განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ორმაგი მნიშვნელობა შეიძინა ეროვნული მოძრაობის განდევნის შემდეგ. სამწუხაროდ, ქართველი ხალხის გულანთებულ ეროვნულ მოძრაობას კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული ბერკეტები, რომელსაც ჩვენი დამოუკიდებლობა უნდა დაყრდნობოდა. ჩვენ არ ვიცოდით, რამდენად მზად იყო მსოფლიო, რომ ისეთი პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობის დარაჯი გამხდარიყო, როგორიც საქართველოა. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, ზვიად გამსახურდიას გამოუცხადეს, დინების საწინააღმდეგოდ მიდიხართო.

ამის შემდეგ დაიწყო „გარედან“ მართული პროცესები, რომლის მიზანი იყო შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა. შევარდნაძე კი ახალი იდეოლოგიის შემოსატანად მოდიოდა, რომელიც არც ჰელსინკის დეკლარაცია იყო და არც ეროვნულ მოძრაობასთან ჰქონდა რამე საერთო. ეს იყო ჯორჯ სოროსის იდეოლოგიაზე ანუ სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლა, რომელიც ამერიკულ მოდელს წარმოადგენდა. ჩვენ საკუთარ ქვეყანაში ამერიკული მოდელის მსგავსი სამოქალაქო საზოგადოების კონგლომერატი უნდა შეგვექმნა და უარი უნდა გვეთქვა საქართველოზე, როგორც ქართველი ერის სამშობლოზე. ედუარდ შევარდნაძემ ისარგებლა ფსიქოლოგიური მომენტებით და პიროვნული დაპირისპირებებით, რომელიც იმჟამად საქართველოში იყო და ზვიად გამსახურდიასთან ერთად, იმ იდეოლოგიის და ეროვნული სულისკვეთების გაძევება მოახერხა, რომელსაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ატარებდა. რეალურად, პიროვნულ კინკლაობას და სისუსტეებს, რომლებიც შეიძლება ადამიანს ჰქონდა, საქართველოს ბედისწერა გადავაყოლეთ და მხარი დავუჭირეთ აზროვნებას, რომლითაც შევარდნაძე მოვიდა. ის კი მოვიდა როგორც მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთ-ერთი არქიტექტორი.

— ამ პროცესებში ეკლესიას რა როლი ეკისრებოდა?

— ზვიად გამსახურდიას შესანიშნავად ესმოდა, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობა აუცილებლად სარწმუნოებრივი უნდა ყოფილიყო. ახლაც არსებობს ბატონი ზვიადის მიერ დაფუძნებული ჰელსინკის კავშირის პატარა ჯგუფი, რომელიც გამოსცემს ჟურნალ „მატეანეს“ და ამ ჟურნალს საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა აწერია. გადასახლებამდე ზვიად გამსახურდია საქართველოს პატრიარქის დიდი მხარდამჭერი იყო და თავის დროზე, მისი გაპატრიარქებისთვისაც ზრუნავდა, თუმცა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, მათ შორის დაპირისპირება დაიწყო.

დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა, რომ რაღაც ძალამ, რომელსაც არც ერთ შემთხვევაში არ აწყობდა, რომ ეკლესიის ლიდერი და სახელმწიფო ჰარმონიულ ურთიერთობაში ყოფილიყვნენ და ერთად გაეგრძელებინათ ეკლესიურ-ეროვნული მოძრაობა, განხეთქილებისთვის ყველაფერი გააკეთა. პიროვნულმა უთანხმოებამ შექმნა ასპარეზი ახალი ძალის სასარგებლოდ, რომელიც ეკლესიასთან დაამყარებდა თანხმობას და ამით ბრწყინვალედ ისარგებლა ედუარდ შევარდნაძემ. საბოლოოდ, ეროვნული მოძრაობის მიერ მოპოვებული დამოუკიდებელი საქართველო ხელში ჩაიგდო არაეროვნულმა ძალამ. წარმოიდგინეთ, ანტიეროვნული და ანტიქრისტიანული იდეოლოგიის შემომტანმა შევარდნაძემ მეგობრული და ჰარმონიული ურთიერთობა დაამყარა ეკლესიასთან. ამან საქართველოსთვის უდიდესი საშიშროება შექმნა, რომელმაც თავისი მისია შეასრულა.

— იქნებ, უკეთ აგვიხსნათ, როგორ შეიძლება ეკლესიისა და სახელმწიფოს ჰარმონიული ურთიერთობა ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენდეს?

— შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლის დღიდან დაიწყო მსოფლიო წესრიგის ელემენტების ეკლესიაში შემოტანა, თუმცა

სახელმწიფოს და ეკლესიის ჰარმონიული ურთიერთობიდან გამომდინარე, აზრობრივი და იდეოლოგიური დაპირისპირება გამორიცხული იყო, ამიტომ ეკლესია ნელ-ნელა დათმობის პოზიციაში გადავიდა. სწორედ ეს იყო საფრთხე! კონკორდატი, რომელიც 2002 წელს, სვეტიცხოველში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შედგა, აზრობრივად და მორალურად უკვე დათმობა იყო. შეთანხმებამ, რომელიც ავალდებულებდა, რომ სახელმწიფოსთვის წინააღმდეგობა არ გაეწია, ეკლესია კაპიტულაციის მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან არ შეიძლებოდა შეთანხმება ადამიანთან, რომელიც პრეზიდენტად მსოფლიო წესრიგის ლიდერი ქვეყნიდან მოგვევლინა. შეგახსენებთ, რომ ამერიკაში დიდი ხანია დაწყებულია სიონისტური მოძრაობა, რომელიც სოლომონის ტაძრის აღდგინების ებრაულ-სიონისტურ ოცნებას უკავშირდება. იცით, შევარდნაძემ თავისი საანგარიშო მოხსენება როგორ დაამთავრა? ჩვენ ქართველი ერის კი არა, საქართველოში მცხოვრებთა სახელმწიფოს ვაშენებთო. ანუ ყველას, ვინც საქართველოში ერთი წლით ან რამდენიმე თვით რეგისტრირდება, უფლება აქვს საქართველოში დასახლდეს, მიწა იყიდოსო და ა.შ. რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდია ამ ქვეყნისთვის დამღუპველ, არაეროვნულ იდეოლოგიას არ გაატარებდა და ამიტომ შერაცხეს დინების საწინააღმდეგოდ მავალად. სამწუხაროდ, მდგომარეობა არც შევარდნაძის შემდეგ შეცვლილა. პირიქით, საკაშვილმა გააგრძელა და უფრო გაამძაფრა ის მავნებლური, ერის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, რომელიც შევარდნაძემ შემოიტანა. 2013 წელს გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოში გაასაჯაროვა სტატისტიკაზე დაფუძნებული საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ანალიზი. დასკვნის თანახმად, რომელიც ნაციონალური მოძერაობის მოღვაწეობის შედეგებს ასახავს, საქართველოს მოსახლეობის 70% მოწყვლადია ანუ ამ ხალხის სიცოცხლე ბეწვზე კიდია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ დავბრუნდით ისტორიულ წარსულში როცა ლუმპენ პროლეტარიატმა (მუშათა და სხვ. დემორალიზებული, დეკლასირებული ფენა, რომელიც საზოგადოების ფსკერზე იმყოფება) რუსეთში ოქტომბრის რევოლუცია მოაწყო. გაღარიბებულ საქართველოში ახალი ლუმპენ-პროლეტარიატი მივიღეთ და რაში მდგომარეობს ჩვენი წინსვლა და თავისუფლება? იმაში, რომ ერთსქესიანთა ქორწინებისთვის მხარი უნდა დაგვეჭირა? მადლობა ღმერთს, რომ ამერიკაში ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ მე სასოწარკვეთილი და თავზარდაცემული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და ეკლესიამ ამ საკითხზე მსჯელობა დაუშვა და მოძღვრები ნატოში, აპატურაისთან გააგზავნა იმაზე მსჯელობისთვის თუ როგორ ესმით ოჯახი. როგორ შეიძლება ეკლესია ამაზე მსჯელობდეს? კაპიტულაციური კონკორდატის შემდეგ, ეკლესიამ ვეღარ შეძლო კატეგორიული ყოფილიყო. სახელმწიფო იმდენად დაეუფლა ეკლესიას, რომ პატრიარქის მდივან-რეფერენტის სახით თავისი წარმომადგენელი შეიყვანა.

— როგორც ვიცი, პატრიარქის თანაშემწის არსებობა ეკლესიური მმართველობის მიღებული ფორმაა.

— დიახ, ბიზანტიიდან მოყოლებული, ეკლესიურ მმართველობაში ასეთი ტრადიცია არსებობს, მაგრამ როდესაც სახელმწიფო თავისი არსით ანტიქრისტიანული და ანტიეკლესიურია, მაშინ თანაშემწე ეკლესიის სამსახურისთვის კი არა, არამედ ეკლესიის წიაღში თავისი ინტერესების გასატარებლად ჭირდება. სწორედ ამის შემდეგ მივიღეთ რეალობა, როცა ეკლესიაში მეგობრობის ნიღბით შემოვიდა ანტიქრისტიანული მხარე. საპატრიარქოში გამოჩნდნენ ტამპლიერები (ცნობილი სამხედრო-რელიგიური ორდენი ევროპაში) ანუ ხალხი, რომელიც ოცნებობს სოლომონის ტაძრის აგებაზე. მალე ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ტამპლიერებისა და პატრიარქის დამაკავშირებელი უწმინდესის მდივან- რეფერენტია. ტამპლიერებთან სიამტკბილობა იქამდე მიდის, რომ მათ საპატიო სტუმრების სახით იწვევენ პატრიარქის დაბადების დღეზე. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოში ტამპლიერთა ორდენი აკურთხა, რაც თავისთავად დაუშვებელი ფაქტია და სრული ანომალია.

ნელი თორდია
571 35 36 88

(გაგრძელება იქნება)

ძლიერი რეგიონები ძლიერი საქართველოსთვის

რუსთავი

რუსთავში გარე განათების რეაბილიტაცია გრძელდება

ძველ რუსთავში, გაგარინისა და ბათუმის ქუჩების დამაკავშირებელ საგზაო მონაკვეთზე გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოების ფარგლებში, ტერიტორიაზე ენერგოეფექტური დიოდური (LED) სანათები დამონტაჟდა.

გარე განათების ქსელის განახლება ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე დაიწყო. სამუშაოებს რუსთავის მერიის ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“ ასრულებს.

გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია პარალელურად ქალაქის სხვა უბნებშიც მიმდინარეობს.

გურჯაანი – „კახეთი-იონის“ სამედიცინო ცენტრში C ჰეპატიტის კაბინეტი გაიხსნა

გურჯაანის სამედიცინო ცენტრში გახსნილ კაბინეტში პროგრამის ბენეფიციარები დიაგნოსტირებისა და მკურნალობის კომპონენტებს ადგილზე მიიღებენ. C ჰეპატიტის კაბინეტი რეგიონში პირველი სერვის-პროვაიდერი კლინიკაა. გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი გია გერგიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ვანო ბერიძიშვილი, ექიმი-ლაბორანტი, „კახეთი-იონის“ ვიცე-პრეზიდენტი ჟაკ სიმარი, ასევე ბურგუნდიის საბჭოს წევრი და სამედიცინო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ერიკ ჟანტი.

ყვარლის მოსახლეობა სამედიცინო სერვისებს ადგილზევე მიიღებენ

ყვარელში სისხლის ასაღები პუნქტი გაიხსნა. როგორც „კახეთი-იონის“ ფინანსურ-ადმინისტრაციულმა დირექტორმა, სახელმწიფო მართვის ხელმძღვანელმა თამარ ცანკაშვილმა განაცხადა: „ადგილზე მოხდება ყველა სახის ანალიზის აღება, თანამედროვე სტანდარტების დაცვით და ოპერატიულად. ადგილობრივი მოსახლეობისთვის გურჯაანში წაუსვლელად ხელმისაწვდომი იქნება ყველა იმ სერვისის მიღება, რაც „კახეთი-იონშია“ შესაძლებელი.

აქვე იმუშავებს საკონსულტაციო ჯგუფი და მათი მეშვეობით დაინტერესებულ პაციენტებს გაეწევათ კონსულტაციები, მიიღებენ ყველა სახის საჭირო ინფორმაციას და დაეხმარებიან შესაბამის სპეციალისტთან ვიზიტებში“.

სისხლის ასაღები პუნქტის გახსნას ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია მზექალაშვილი და ადგილობრივი ექიმები ესწრებოდნენ.

უფასო სამედიცინო აქცია დუშეთში

ქ. დუშეთში, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და „ჩაფიძის სახელობის კარდიოლოგიის გადაუდებელი ცენტრის“ ინიციატივით, საქველმოქმედო-სამედიცინო აქცია ჩატრდა.

სამედიცინო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის გათვალისწინებით და აქციის საქველმოქმედო ხასიათიდან გამომდინარე გამოკვლევებით მოსახლეობის დიდი ოდენობა დაინტერესდა. მოქალაქეებმა ისარგებლეს უფასო გამოკვლევებით და ცენტრის წამყვანი სპეციალისტებისგან საჭირო რეკომენდაციები მიიღეს.

ყვარელი

მნიშვნელოვანია, რომ აქცია „ჩაფიძის გულის ცენტრი თქვენი გულისთვის“ არ არის ერთჯერადი ხასიათის. ცენტრის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლების მჭიდრო თანამშრომლობით, მსგავსი აქციები პერმანენტულად იმართება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

სამედიცინო ცენტრის წარმომადგენლების ინფორმაციით, აქციების მიზანია ქვეყნის ყველა რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სამოქალაქო ცხოვრებაში მათი სრულყოფილი აქტივობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

ზუგდიდი – მავნებლებისგან თხილის კულტურის გადასარჩენად

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა, რომელზეც თხილის მავნებელ მწერებთან დაკავშირებულ პრობლემაზე იმსჯელეს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სურსათის უვნებლობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, მხარის გუბერნატორი და რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგებლები.

თხილის მავნებელი მწერების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების პირველი ეტაპი პრობლემის მონიტორინგს და სხვადასხვა მიმართულების ტრენინგების ჩატარებას დაეთმობა. ყველა სოფელში ჩამოიკიდება სატყუარა მახეები, ხოლო ჯგუფების რაოდენობა სოფლების ფართობის მიხედვით განისაზღვრება.

შეწამვლის პირველი ეტაპი მაისის ბოლოს უნდა დაიწყოს. დარიგდება სპეციალური ბროშურები, რომლის საშუალებითაც მოსახლეობა მავნებლებთან ბრძოლის მეთოდების შესახებ მიიღებს ინფორმაციას.

გუბერნატორმა ლევან შონიამ ცენტრალურ მთავრობას რეგიონისთვის ძალზე მნიშვნელოვანი დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

წალენჯიხა

წალენჯიხაში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა გრძელდება

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონალური მართვის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილების ხელმძღვანელობითა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაწილეობით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გრძელდება ჩ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში უფასო გამოკვლევები უტარდებათ წალენჯიხის აგრარული ბაზრის თანამშრომლებს, ბაზარში დასაქმებულ პირებს.

ტრენინგი საქართველოში კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგი ბარბაქაძე მუნიციპალიტეტში არსებული კატასტროფის რისკის შემცირების სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად ესწრებოდა თბილისში, სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ გამართულ ტერნინგს თემაზე „საქართველოში კატასტროფის რისკის შემცირების სფეროში მოქმედი პოლიტიკის და საკანონმდებლო ბაზის მოკლე მიმოხილვის მოშზადება“. მიმოხილვაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პირუტყვის დაავადებებით გამოწვეულ კრიზისულ სიტუაციებში მოქმედ რეგულაციებს, პრევენციის/მიტიგაციის და რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელ კანონმდებლობას ადგილობრივი თვითმმართველობების/მუნიციპალიტეტების კომპეტენციებისა და უფლებების გათვალისწინებით. აღნიშნული მიმოხილვა ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურებისათვის, კატასტროფის რისკის შემცირების სამუშაო ჯგუფებისთვის და ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

გოგი ბარბაქაძე: „სამუშაო ჯგუფების ამოცანაა პირუტყვის დაავადებებით გამოწვეული პრევენციის მექანიზმის გაძლიერება, ამიტომაც ტრენინგის ბოლო ნაწილი სიმულაციურ სავარჯიშოს დაეთმო.

ტრენინგზე მიღებული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სამუშაო ჯგუფს მუნიციპალიტეტში არსებული რისკების იდენტიფიკაციასა და შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების საქმიანობის სწორი სტრატეგიის განსაზღვრაში დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამების ფასილიტაციით“.

კატასტროფების რისკის შემცირების ცენტრი (**DRR Center**) **Mercy Corps**-ის მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის ფარგლებში (**ALCP**) ქვემო ქართლისა და აჭარის თერთმეტი მუნიციპალიტეტის კატასტროფის რისკის შემცირების სამუშაო ჯგუფებისა და ადგილობრივი საკონტაქტო პირების/კოორდინატორების

ხარაგაული

უნარების გაძლიერების პროექტს ახორციელებს, რომელშიც დმანისის მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული.

ხარაგაულში „რეგიონული განვითარების ფონდი" 14 პროექტს დააფინანსებს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, „რეგიონული განვითარების ფონდთან" აქტიური თანამშრომლობის შედეგად, 2017 წელს ხარაგაულში დამატებით კიდევ ოთხი პროექტი დაფინანსდება. მუნიციპალიტეტი „რეგიონული განვითარების ფონდში" უახლოეს მომავალში წარადგენს სოფელ ლაშის იგორეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის (276 300 ლარი), ხიდარში სკოლასთან მისასვლელი გზის მობეტონების (65 000 ლარი), ნადაბურში ც. გელაშვილისა და ნ. გელაშვილის სახლებთან საყრდენი კედლის მოწყობისა (55 000 ლარი) და გოლათუბანის ცენტრალური გზის (500 მეტრი, 53 700 ლარი) რეაბილიტაციის პროექტებს. პროექტების საერთო ღირებულება 450 000 ლარს შეადგენს, აქედან მუნიციპალიტეტი თანადაფინანსების სახით 22 800 ლარს გამოყოფს.

შეგახსენებთ, რომ გარდა ჩამოთვლილისა, „რეგიონული განვითარების ფონდი" მიმდინარე წელს ხარაგაულში 10 პროექტს აფინანსებს, რომელთა საერთო ღირებულება 3 მილიონ-ნახევარი ლარია.

შუახევი — თანამშრომლობის მემორანდუმი

„ადგილობრივი თემი და ხელისუფლება განვითარებისთვის" — ამ პროექტის პრეზენტაცია დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა შუახევში გამართეს. იმავდროულად მუნიციპალიტეტსა და კავკასიურ ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია ადგილობრივ განვითარებაზე მიმართულ აქტივობებში თემის, თვითმმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.

პროექტი ხორციელდება გერმანული ფონდის — „პური მსოფლიოსთვის" — ფინანსური მხარდაჭერით.

გორი — სოფელ ტინისხიდში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში გზის რეაბილიტიცია დაიწყო. ასფალტის საფარის ორმოული შეკეთება, გვერდულების მთიდან ჩამოტანილი მასისგან გაწმენდა, საგზაო ნიშნების დამონტჟება და გზის საფარის დახაზვა ერთკილომეტრიან მონაკვეთზე განხორციელდება.

სამუშაოები გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით ონიაშვილმა და გამგებლის მოადგილემ ალექსი ვეშაპურმა დაათვალიერეს.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2017 წელს გზების მოვლა-პატრონობისთვის 500 000 ლარი აქვს გამოყოფილი. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „საგზაო-სამშენებლო სამმართველო-1" ახორციელბს.

გზის საფარის რეაბილიტაცია სოფელ ტინისხიდის შემდეგ გორის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც ეტაპობრივად განხორციელდება.

გორი

ნოდარ გიორგაძე:
ჩვენ, ყველანი, ვალდებულნი ვართ, რაღაც ვაკეთოთ ჩვენი ხალხისთვის...

ორი თუ სამი კვირის წინანდელ ამბავს ვყვები.

საინტერესო გადაცემების ძიებაში რამდენიმე არხზე გადავრთე და გადმოვრთე.

უცებ, გადაცემა „ბიზნესპერსონამ" მიიპყრო ჩემი ყურადღება.

უცნობი მამაკაცი ბიზნესზე ლაპარაკობდა და ისეთ მოსაზრებებს გამოთქვამდა, რაც ცოტათი უჩვეულოდ და მოულოდნელად ჟღერდა ჩვენს მკაცრ და ყინჩ დროში მცხოვრები ადამიანის ყურისთვის.

— რომელია კარგი ბიზნესმენის თვისებაო, — ჰკითხა ჟურნალისტმა.

— სულით და ხორცით წესიერი კაცი უნდა იყო, სამართლიანი, სიტყვის პატრონი, ორგანიზებული, მოტივირებულიო, — უპასუხა რესპონდენტმა.

ვინ არის, ნეტავ, ეს კაცი, ასეთ საოცარ სიტყვებს რომ ამბობს-მეთქი, დავინტერესდი.

ნოდარ გიორგაძე — „ჯინო ფერედაისის" დამფუძნებელი, — მაუწყა წარწერამ.

თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ბატონო ნოდარ, ძლივს არ გავიგონე ვიღაცისგან, რომ ბიზნესმენი გულმართალი, წესიერი და სიტყვის პატრონი კაცი უნდა იყოს და არა მგელი, არა სვავი, არა ფულის ტომარა, არა ეგოისტი და ეჩოსავით ყველაფრის თავისკენ მიმთლელი.

ბატონ ნოდარს არ უთქვამს, მაგრამ მის ნათქვამში თავისთავად იგულისხმებოდა, რომ წესიერი და პატიოსანი ბიზნესმენი აუცილებლად იზრუნებს თავის ქვეყანაზე, თავის ხალხზე, რადგან წესიერება და პატიოსნება სხვაგვარად მოქცევის უფლებას არ მისცემს.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს", — გვითხრა დიდმა პოეტმა.

სამწუხაროდ, რამდენი ვინმეა ჩვენს გარშემო, ცოცხალი რაა და მკვდარს რომ ჰგავს, ცხოვრობს ამ ქვეყანაში და ქვეყნისთვის არ ზრუნავს, მიუხედავად იმისა, რომ, შეიძლება, საბანკო ანგარიშებზე მილიონები ერიცხებოდეს.

ასეთებისთვის სამშობლო მხოლოდ „მაყუთის" საშოვნელი სარფიანი ადგილია და არა სამშობლო, რომელიც, „როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა".

ვუსმენდი ბატონ ნოდარს და სურვილი გამიჩნდა ეს დარბაისლური, ღირსებით და ადამიანურობით სავსე საუბარი ბევრს მოესმინა, განსაკუთრებით კი მათ, რომლებსაც იღბალმა წარმატება, ფული და ქონება არგუნა, მაგრამ არავინ ასწავლა, რა არის მთავარი და უპირველესი, რომ ცოცხალი მკვდარს არ ემსგავსოს.

წარმატებები ვუსურვოთ ბატონ ნოდარს.

აქვე გთავაზობთ ამონარიდებს მისი ტელეინტერვიუდან.

„ბიზნესი 47 წლისამ დავიწყე, მაშინ ჩემი დიპლომატიური საქმიანობა ავსტრიაში დასასრულს მიახლოვდა. 1996 წელი იყო. იმ ხანებში გადავწყვიტე, გამომეცადა საკუთარი თავი, საკუთარ ბედთან ურთიერთობაში, შევძლებდი თუ არა დამოუკიდებლად საქმის კეთებას. ძალიან რთული პერიოდი დამიდგა. მართალია, მქონდა გარკვეული ცხოვრებისეული გამცდილება, მაგრამ კონკრეტულად რაიმე სახის ბიზნესი რომ წამომეწყო და მეხელმძღვანელა, მანამდე ასეთი არ ყოფილა".

„ — რომელია კარგი ბიზნესმენის მთავარი თვისება?

სულით ხორცამდე წესიერი კაცი უნდა იყო, სამართლიანი, სიტყვის პატრონი, ორგანიზებული, მოტივირებული, უამრავი სხვა ფაქტორებია კიდევ, რომლებიც აუცილებელია ბიზნესმენისთვის, რათა იგი პიროვნულად იყოს ყოველთვის ამისთვის მაგალითი. თუ თქვენ დატოვებთ საქმეს და იტყვით, რომ ერთი-

ორი წლის შემდეგ მოვალ და დამახვედრეთ, უნდა იცოდეთ, რომ არაფერი არ დაგხვდებათ სათქვენოდ. შეუძლებელია ვიღაცას რაიმე სახის პასუხისმგებლობა მოსთხოვო, ან დავალების შესრულება, თუ თვითონ არ ასრულებთ თქვენს სიტყვას".

„ფული არის საშუალება იმისთვის, რომ ადამიანმა, გარკვეულწილად, აისრულო ჩანაფიქრები, რაც გქონია და გაქვს, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ფულზე არაა დამოკიდებული. ძალიან ხშირად ფულზე გაცილებით მეტი ძალა აქვს სახელსა და ავტორიტეტს, ურთიერთობებს ადამიანებთან, მით უმეტეს, საქართველოში.

ზოგიერთები თვლიან, რომ ბიზნესში მიუღებელი არაფერი არაა — ყველაფერი მისაღებია, თუკი შედეგს მიაღწევ, თუმცაღა, მე ისეთ კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც თვლიან, რომ არ შეიძლება ყველაფრის მიღწევა ყველაფრის ხარჯზე — არსებობს თემები, რომელთა გაცვლა არ შეიძლება.

„მაქვს ისეთი თვისებებიც, რომლითაც ბევრი სარგებლობს ხოლმე. მე მგონია, მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ, ძლიერი ადამიანის თვისებაა — უნდა იყოს დამთმობი. არ უნდა აიძულოს სუსტი, რომ დაუთმოს. თუ ძლიერი ხარ, თვითონ უნდა დაუთმო".

„რაც გამიკეთებია ამქვეყნად, ჩემი საკუთარი გონებითა და ხელით შემიქმნია, ამიტომაც თავისუფლად ვუყურებ ყველას თვალებში, მიმარტივდება ყველა გადაწყვეტილების მიღება, იმიტომ რომ, არავითარი ვალდებულება არავის მიმართ არ გამაჩნია. შეიძლება ვალდებულებები ბევრს ჰქონდეს ჩემს მიმართ, მაგრამ მე არავის მიმართ ვალდებული არ ვარ. თუ რაიმე ვალდებულება მაქვს, ისევ ჩემი ქვეყნის და ჩემი ხალხის წინაშე მაქვს, იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ, რაღაც ვაკეთოთ ჩვენი ხალხისთვის, თუკი შეგვიძლია, რა თქმა უნდა".

ვახტანგ ხარჩილავა

ბუბა ხოტივარი:

მაშინ, მეოცე საუკუნეში...

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

მოკლედ, ისეთი სტუდია ჩამოყალიბდა - მისვლა მიხაროდა. ყოველ დილას ისე მივრბოდი, როგორც გადაუდებელ გადაღებაზე. ატმოსფერო იყო არაჩვეულებრივი და იმიტომ. ასეთი კეთილი ურთიერთგანწყობა არასოდეს არსად აღარ შემხვედრია. სტუდია მაშინ იყო ერთიანი - ყველა მთავარზე ფიქრობდა: ფილმი უნდა გამოვიდეს ხნეობრივი და ხარისხიანი! ამ მიზანს

კადრი ფილმიდან „ბელურების გადაფრენა“

ემორჩილებოდა ყველა, მათ შორის განათლებული და კინოში გარკვეული რედაქტორებიც (მართლაც რედაქტორები და არა ცენზორები):

ლამარა ბოკერია - კეთილი, პოეტური ადამიანი. ყველა თავის დაიკოდ რომ მიიჩნევდა. ისე ტაქტიანად მიგითითებდა შენი მასალის ნაკლოვანებებსა და მათი გამოსწორების გზებზე - მადლიერი რჩებოდი მისი. რბილი ხასიათი ქონდა შენთვის, შიგნით კი უტეხი და იდეური იყო - ნამდვილი ქართველი ქალი. ასეთივენი იყვნენ ნინო ეთერია - ყველა საკითხში აქტიური მებრძოლი, ერთგული, დაუფიქრებლად გვერდზე დამდგომი მეგობარი და მარი გველესიანი - ქართულის მცოდნე ჩუში, თბილი, სათნო არსება, სტუდიის დიასახლისი.

შოთა არჩვაძე საკუთარი ხელებით აშენებდა ტელევიზიას ფუნდამენტიდან ეთერში გაშვებულ პირველ გადაცემამდე. ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობა არ შემხვედრია მსოფლიო ლიტერატურაშიც. მუშაობისას თვალებში, მთელ მის სხეულში აზრის ისეთი კონცენტრაცია იგრძნობოდა, ვერ გაეკარებოდი. როგორც მაღალი ძაბვის გენერატორს. მორჩებოდა თუ არა საქმეს, კმაყოფილებით ამოისუნთქავდა, შემოგვხედავდა გაკვირვებით, თითქოს აქ, ამათთან, რა მინდაო და - სხვა კაცი ხდებოდა: ღიმილიანი, ბავშვური, დაბნეული. დაუსრულებელ ოხუნჯობებს იწყებდა წყნარი სახით: „როგორც ასო-ასო-ასოშეიდეთ პრესს-ს-სი იუწყება, ბუნტი უშლის ნერვებსაო პოლიტბიუროს ჩლენებსაო“..

დევი ივანოვ-ჩიქოვანი: გამოულეველი ენერგიისა და ხალასი იუმორის პატრონი. ჩვეულებრივი ამბების არაჩვეულებრივად მომყოლი. არ უნდოდა არაფრით თავისი უნიკალური ისტორიების სცენარებად ქცევა. ჩემს ასეთ საყვედურზე ერთხელ ასე მიპასუხა: „წერა რომ დევიწყო, დეიკარგება ჩემი სიმსუბუქე, ეგი კი დაღუპვაა, ბოშო! მე მოვყობი, თქვენ დეიმახსოვრეთ და გადეიღეთო” - ასე ამბობდა ივანოვი...

ლევან მალაზონია: თუ ვინმეს მართლა თავდავიწყებამდე უყვარს საქართველო და გულის ფიზიკურ ტკივილებამდე განიცდის მის უმნიშვნელო წარუმატებლობასაც კი, და არც მოაქვს თავი დიდის პატრიოტიზმით, ეს არის ლევან მალაზონია. მის გვერდით შენც გრძნობ, რომ რაღაც დიდი ვალი გაქვს სამშობლოს წინაშე და რომ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ბრახაბრუხა სიტყვები... ერთხელ ვეხუმრეთ, ნუ შეგვაწუხე, ბატონო, ამ შენი სამშობლოთი, ჩვენ ყველანი უკვე გადავჯიშდით, არ გვესმის, რა დავუშავეთ ასეთი შენ საქართველოს. ლევანმა მაგიდა კინაღამ ჩაამტვრია ხელით: ღმერთზე, სამშობლოზე და ბავშვზე შაყირი არ გავიგოო! - ისე გაბრაზდა, ორი თვე ბოდიშებს ვუხდიდით. ორგანულად ვერ იტანდა ბოლშევიკებსა და ათეისტებს...

ვალიკო სულაკაური: ფუთკარივით მოფუსფუსე, სულ რაღაცაზე ჩაფიქრებულ ვალიკოზე მამაჩემმა ერთხელ გვითხრა: ეგა დღედაღამ თავის მრავალშვილიანი ოჯახისთვის შრომობს და თქვენსავით ღრმადმოაზროვნე გამომეტყველების დალაგების სურვილმა დიდიხანია გაუარაო. ეგ კაცი მთავარს აკეთებს - ერს ამრავლებს და მომავალს უყრის საფუძველსო. თქვენ კი თითო შვილი ძლივს მოსკინტეთ და იმასაც ამადლით ქვეყანას - ამ საშინელ პირობებში როგორ გავზარდოთ მეტიო! ვითომ არ იცით, რომ რაც უკეთეს პირობებს შეუქმნი ჩვენს ქალებს, უფრო არ აჩენენ ბავშვებს! კაცები კი დადიხართ მსოფლიო სევდით დაღდასმულები ნაპახმელიები სიფათებით და ერთმანეთს ბერავთ ინტელექტუალური იდიოტიზმის სიღრმე-სიგანეებითო...

ამირან ჭიჭინაძე: ყველა ჩვენს ფილმში ბევრი თუ ცოტა ამირანიც არის. სხვების მიერ აბურდული, აყრილ-დაყრილი მასალის აზრის მიმცემი. ყველა სერიოზულად უსმენდა და ანგარიშს უწევდა თვითონაც იდეების გენერატორი... უამრავი ფილმის სცენარის ავტორი: „თუში მეცხვარე“, „გიორგობისთვე“, „რეკორდი“ და სხვა კარგი სცენარი...

მარლენ კიტია: რომაელი სენატორის გარეგნობის, სერიოზულ და არასერიოზულ თემებზე ერთნაირად მობობოქრე არისტოკრატი. გულღია, ალერსიანი. ჩუმ-ჩუმად თურმე ლექსებს წერდა ქართულად და რუსულადაც. თავს იკლავს და არ აქვეყნებს. როცა შემთხვევით დანაშაულზე წავასწარი, გამომიტყდა დარცხვენით, დღევანდელ ტაშზე უფრო პასმერტნი სლავა მხიბლავსო.... მახსოვს, ერთ გემრიელ, ჩაუტკუნებულ, ატლასკანიან, მაგრამ უკარება და შინაბერობას მიღწეულ გოგონას ლექსი მიუძღვნა: „Недоцелованные губы, недовлюблённая любовь”. შინაბერას გული აუჩუყდა - იდარდა დროის დაკარგვის სევდით, იდარდა, იდარდა და... გათხოვდა. უფროს ვაჟს კი მარლენი დაარქვა...

გეო შავდია: ლიტერატურაში ჩაფლული ინტელექტუალი. მასთან ხუთი წუთი მეტს გაძლევდა, ვიდრე ერთი თვე ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. განუწყველივ სულიერებაზე ფიქრობდა და შენც ამისკენ გიბიძგებდა. გარდაიცალა საოცრად: სტუდიაში, სამხატვრო საბჭოზე ყოფნისას, უეცრად, თითქოს დაუძახესო, ზემოდ აიხედა და ვიღაცას გამოეპასუხა:

- რაო?

შემდეგ ინტერესით დააკვირდა ზემოდ იმ ვიღაცას და გაოგნებულმა იკითხა:

- რა ხდება იქ? - ისეთი დაძაბული ინტერესით იკითხა, რომ ყველამ აწია თავი. ზემოთ ჩვეულებრივი, უშნოდ შეთეთრებული ჭერი იყო აბლაბუდიანი ბზარით.

- რა ხდება იქ? - გაიმეორა კვლავ კიდევ უფრო ხმამაღლა და ფეხზე წამოიჭრა. ერთხანს გაოცებული აკვირდებოდა იმ რაღაცას, რაც არასოდეს არ ენახა. შემდეგ დაძაბულობა უეცრად მოეხსნა, გაიღიმა და თვალებში ენით აუწერელი სიხარული ჩაუდგა - ეტყობა, გარკვევით დაინახა ის, რაც ხდებოდა იქ, ჭერს ზემოდ. მერე - სახე გაუნათდა, გაუბრწყინდა, და... ასევე დარჩა, ზემოთკენ მიმართული ბედნიერი მზერითა და ნეტარი გამომეტყველებით....

* * *

კარგი ხალხი მუშაობდა მაშინ ტელეფილმების სტუდიაში. წესიერი, ზრდილი, განათლებული. ერთმანეთსაც პატივს სცემდნენ და საკუთარ თავსაც. სცენარების, მასალების, ფილმების განხილვისას ურთიერთისგან ხშირად ისმენდნენ საკმაოდ მოურიდებელ შეფასებებს, მოკლებულს ყოველგვარ დიპლომატიურ კეკლუცობას, მაგრამ ზღვარსაც არასოდეს გადადიოდნენ - ყველაფერზე მაღლა მაინც ადამიანის ღირსებას აყენებდნენ. პიროვნება მართლაც ხელშეუხებელი იყო. ამიტომ მიხაროდა დილიდან სტუდიაში მისვლა: იქ ვისწავლე იმდენი, რამდენიც არსად და არასოდეს.

* * *

რეზო ჩხეიძე კი ამ სტუდიის სული და გული იყო. მან შექმნა მთავარი: სტუდიის ატმოსფერო. მისი ძლიერი მხარდაჭერა გვათავისუფლებდა რეჟისორებს ცენზურის შიშისა და ათასნაირი კომპლექსისაგან, გვაძლევდა შესაძლებლობას მხოლოდ ფილმებზე გვეფიქრა. გარდა ამისა, ჩვენ დანამდვილებით ვიცოდით, რომ საბჭოთა კავშირის სხვა სტუდიებში რეჟისორების შემოქმედება ბევრად უფრო შეზღუდული იყო. ჩვენს დასაცავად კი რეზო განუწყვეტლივ იბრძოდა. მაგრამ ადვილი სათქმელია: რეზომ ფილმი გადაარჩინა, რეზომ საკითხი კბილებით გაიტანა, რეზო ცენზურას შეება, რეზო რომ არა, ფილმი არ იქნებოდა და ა.შ. ვიცით რას ვამბობთ? ვიცით რა ნერვიული დაძაბულობასთან გვაქვს საქმე? კარგად გვესმის, რა რისკთან იყო დაკავშირებული კომუნისტური ცენზურის წინააღმდეგ მიმართული ეს ბრძოლა? ბრძოლა კაცისა, რომელსაც მამა სწორედ ამის გამო დაუხვრიტეს იმავე კომუნისტებმა? არ მინდა ჩემი ეს წერილი გადაიქცეს რეზო ჩხეიძის ჰაგიოგრაფიად, მაგრამ, როგორ არ მოვყვე, თუნდაც ეს ამბავი, რიგითი, სხვათაშორის: 80-ანი წლების დასაწყისში ელდარ მდინარაძემ, სოსო ჩხაიძისა და ჩემმა სტუდენტმა, უარი თქვა რექტორატის მიერ შემოთავაზებულ კომკავშირული ფილმის გადაღებაზე. ატყდა ერთი ამბავი: ელდარს სტიპენდიაც მოუხსნეს, მისი საკითხი რექტორატზე გაიტანეს და გარიცხვასაც უპირებდნენ. აღშფოთებულებმა ამხილეს მარქსისტული იდეალების მიმართ უმძიმეს ღალატში და საპირისპირო მაგალითად რეზო ჩხეიძე მოუყვანეს: აი, ჩვენმა რეზომ, ამხელა რეჟისორმა, არ იუკადრისა და შესანიშნავ ფილმს იღებს რაიკომის მდივანზე, სადაც მგზნებარედ იქნება გადმოცემული კომუნისტური სულისკვეთება, შენ კი, უმწიფარო, როგორ ბედავ უარის თქმასაო. ელდარი თავისაზე იდგა. საკითხის გადაწყვეტა სხდომის ბოლოსთვის გადაიდო და ახლა თემურ ბაბლუანის სადიპლომო ფილმს „ბელურების გადაფრენას” მიდგნენ. „ზემოდან” (პარტიულ-ჩინოვნიკური ხელმძღვანელობიდან) „ქვემოთ”, გადმოისროლეს აზრი, რომელსაც ჩვენ, უბრალო მოკვდავნი უნდა დავმორჩილებოდით როგორც უმაღლეს ჭეშმარიტებას. აი, სიტყვა-სიტყვით:

- ფილმს „ბელურების გადაფრენას” არა აქვს იდეური საფუძველი, იგი ვერც სტუდენტ ბაბლუანს და ვერც ინსტიტუტს აქტივში ვერ ჩაეთვლება და ამ ფილმით არა თუ დიპლომის დაცვაა შეუძლებელი, - რაც ნაკლები ხალხი ნახავს ამ ფილმს, ნაკლებად შევრცხვებითო.

ამ იდიოტიზმს ბევრმა აუბა მხარი. ზოგმა გამოსვლით, ზოგმა რეპლიკებით. შეიქმნა უმძიმესი სიტუაცია. დაიწყო „ბელურების გადაფრენის” (დღეს ქართული კინოს კლასიკის) დაძირვა. დავინახე, რომ ფილმს დახმარება ესაჭიროება, დავიწყე მოძზადება საომრად და პირდაპირ მჯდომ რეზო ჩხეიძეს ჩავხედე თვალებში. რეზო ჭარხალივით წითელი იჯდა და მისი აფეთქება ყოველ წამს იყო მოსალოდნელი. ვანიშნე, ჯერ მე დავიწყებმეთქი. რეზომ თვალებით მიპასუხა, კარგი, დაიწყეო. ამ დროს სიტყვა აიღო პრორექტორმა ვასო კიკნაძემ და დაიწყო ფილმის ღია დაცვა. მაშინ მისგან ეს თავისებური ვაჟკაცობაც იყო - „ზემოდან“ ჩამოშვებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ წასვლა ჩინოვნიკისათვის, ყველაზე ცოტა, სამსახურის დაკარგვას ნიშნავდა. აქტიურად შეეპასუხნენ ლაქიები და ისევ რეზო ჩხეიძე ახსენეს, როგორც მაგალითი პრინციპული იდეურობისა. ყოველთვის თავდაჭერილმა დიპლომატმა რეზომ აქ კი უკვე ვეღარ მოითმინა და წამოხტა:

- ამ „რაიკომების მდივნებს“ ვიღებ ამათზე (თითი ზემოდ აწია, პარტიასა და მთავრობას ვულისხმობდა) იმიტომ, რომ ახალგაზრდებმა აღარ გადაიღონ ასეთი ფილმები აღარასოდეს! ასეთ ფილმებს ვიღებ იმიტომ, რომ ახალგაზრდებმა გადაიღონ ის, რაც მათ უნდათ! ასეთ ფილმებს ვიღებ იმიტომ, რომ ახალგაზრდებმა ბოლოსდაბოლოს იგრძნონ თავისუფლება და გადაიღონ ისეთი შედევრები, როგორიცაა „ბელურების გადაფრენა“ - თქვენ რომ დაგავალეს ჩაქოლვა ბელურასავით. არ გირჩევთ, მაინც ვერ ჩაკლავთ. ჩემი „რაიკომის მდივანი” - ასეთი ფილმების ფარია, მათი ზურგი და დაცვა. „რაიკომის მდივანი” ხარკია, ბატონებო, ხარკი უცხო დამპყრობელთა მიმართ, გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ! ახლავე აღუდგინეთ სტიპენდია ელდარ მდინარაძეს, ახლავე დაუშვით დიპლომის დაცვაზე თემურ ბაბლუანი და გაანაბეთ თავი ჩვენი ბავშვების წაბილწვას, თორემ ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ!

რეზო ადგა, გავიდა და ბრაზმორეულმა ისე გაიჯახუნა კარი, რომ თეატრალური ინსტიტუტისა და რუსთაველის თეატრის შენობებს ბზარები პირველად, მგონი, მაშინ გაუჩნდა.

როგორც ლენინის მავზოლეუმში - ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა მძიმე კარის მიჯახუნების რეზონანსის ძლივს ჩაწყნარების შემდეგ. ამნაირი ტექსტების მოსმენას სრულიად გადაჩვეულ (ანუ - იმუნიტეტდაკარგულ) პარტიულ ამხანაგებს კომუნისტური წითელი დროშასავით აელეწათ დანაყრებული სახეები. ერთ-ერთ მათგანს უეცრად ისეთი ხველა აუტყდა, სკამიდან კინაღამ გადმოვარდა. როცა, როგორც იქნა, მორჩა, კიდევ უფრო საშინელმა სიჩუმემ დაისადგურა.... რეზოს ეს სიტყვები ზოგიერთს კი გულში მალამოდ მოგვედო. როგორც ჩანს, რექტორსაც კი, რომელმაც, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, ნაზი, შემრიგებლური ტონით გამოაცხადა: ახლა სხვა საკითხი განვიხილოთ. ეს ამბავი გახმაურდა და დიდი დაძაბულობა შექმნა ზედა წრეებში. არც კი ვიცი, როგორ ჩაიფარცხა...

(გაგრძელება იქნება)

კადრი ფილმიდან „გიორგობისთვე“

კურტუმოთამაშეები

დათვლილები, გათვლილები, გამოთვლილები, დასათვლელები, თვლიდან გასულები, თვლაში არეულები, თვლაში დაკარგულები...

ჩვენ ბევრნი ვართო, გვითხრა „რუსთავი–2“–მა.... ჩვენ, ანუ თავისუფალი სიტყვის დამცველებიო, ჩვენ, ანუ თავისუფლების დამცველებიო...

და 26 მაისს, როცა მართლა ბევრნი ვიყავით, მაშინ რატომ ბრძანდებოდით თქვენ ცოტანი, ნეტავი?

და 7 ნოემბერს, როცა უმაგალითოდ ბევრნი ვიყავით, როცა უმაგალითოდ ბევრი უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაიღვარა, როცა უმაგალითოდ ბევრ ადამიანს წაართვეს თავისუფლება, თავისუფალი სიტყვის თქმის საშუალება – მაშინაც რატომ ბრძანდებოდით თქვენ ცოტანი, ხომ ვერ მეტყვით?

ხან ცოტანი ხართ და ხან ბევრნი? როგორ გავიგოთ? როგორ გაგიგოთ? როგორც არის ისე რომ გაგიგოთ, ხომ არ გეწყინებათ?

ნაცებს არ გადააბრალოთ, გთხოვთ, ისე არ გამოვიდეს – ტროლმა ტროლს უთხრა, არ გენდობი, ტროლი ხარო!

ჩვენ ბევრნი ვართო, აქციიდან იმას გვიმტკიცებდით...

ბევრნი ხართ, აბა რა, ათასი ადამიანი მხოლოდ ტელეკომპანიაში მუშაობს. ეს ათასი ადამიანი ოჯახებით მოვიდნენო – გვითხარით, ანუ მინიმუმ სამი ათასი უნდა მოეყოლებინათ თან, ხო? მეგობრებიც ხომ ყავთ მაგ ათას თანამშრომელს? ასევე მინიმუმ სამი ათასამდე მეგობარიც გამოყვებოდათ, დასტურ. ერთი ათასი ისინი იქნებოდნენ, აი, „ჩემი ცოლის დაქალების“ ან სხვა სერიალების „სასტავი“, ნიჭიერის გამარჯვებულები, ჟიურის წევრები და ადამიანები, რომლებთაც მუდმივად უთმობთ ეთერს... ერთი ათასიც ნაციონალებს უნდა გამოეყვანათ წესით... აკი, ქუდზე კაცი გამოვივართ ოჯახებითო, ეგენიც გვემუქრებოდნენ... რამდენი გამოდის? ცხრა ათასი ადამიანი გამოდის, ბატონო... უცნაური ის არის, რომ ცხრა ათასი არ ყოფილხართ სულ... ვიღაცამ იმაიმუნა, ვიღაცამ გადაგაგდოთ... თქვენიანმა, ბატონო, თქვენიანმა, თორემ ჩვენიანს თქვენთან რა ხელი ჰქონდა... ისე, არასამთავრობოებს, ლგბტ–ეებს, გადაღებაზე მოსულ ჟურნალისტებს, ქუჩაში შემთხვევით გამვლელებს - არ გითვლით, ეგ ფორად დამიტოვებია... ეჰ... რა დროს ფორაა, მაგრამ მაინც... რაში გამოგადგათ ჩემი ფორა, მაგრამ მაინც...

არადა, ამ აქციის მიზანიც ხომ ის იყო, რომ გეჩვენებინათ, რაოდენ მნიშვნელოვანია სრულიად საქართველოსთვის „რუსთავი–2“?

აკი, 23 წელია თქვენს გვერდით ვართ და ყველა ოჯახში შევდივართო? სად იყო ის ყველა ოჯახი? ხომ არაფერი გენიშნათ?

23 წელი ჩვენს გვერდით... 23 წელი ჩემს გვერდით, ანუ... ჩემი მეზობლის გვერდითაც, ალბათ... ჩემი მეგობრის გვერდითაც, ალბათ... ჩემი ნათესავის გვერდითაც, ალბათ... რომ ვერ დავინახე ვერც ერთი, არა უშავს თუ უშავს? ალბათ, უშავს, ბატონო ნიკა, ალბათ, უშავს... – რავარც ეგენი იყვნენ 9 წელი ჩვენს გვერდით, ჩვენც ისე დავუდექით გვერდშიო – მითხრეს მეზობლებმა, მეგობრებმა, ნათესავებმა და გავიმეორე მეც... წყევლასავით ჟღერს? ღმერთმა დაგვიფაროს... სიმართლეა ოხერია, თორემ წყევლა რა მოსატანია ამ მარხვაში...

ისე, ჯერ კიდევ გუშინ პოსტებს დებდით: „ხვალ იქნება თვლაი საკვირველი და ვიდეოები სახურავებიდან. აბა, თქვენ იცით კვადრატული მეტრობით გადათვალეთ“... ნანუა ჟორჟოლიანმა კი ძველებური, მექანიკური საანგარიში გამოგვიკიდა ფეისბუქზე: – ხვალ დაგჭირდებათ ეს, კარგად რომ დაგვთვალოთო...

არც საანგარიშო რომ არ დამჭირდა და არც თვლაი საკვირველი?

როგორ გაგიმხილოთ, როგორ გითხრათ, მაგრამ იმაზე ნაკლები რომ იყავით, ვიდრე ოჯახიან–მეგობრებიანად ხართ, რა ვქნა, აბა? რა გავთიშო, სად ჩავიცვა შავი?

ვისი პრეზიდენტია ეგ კაცი? მე არ გამხადოს და გვარამიას არ ჩაცვას – მეშინია...

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტად აგვარჩევინეს, ვფიქრობ: მაინც, ვისი პრეზიდენტია, ეს კაცი? თითქოს არ ვარ უგუნური და უჭკუო, თითქოს, არ მქონდა ცოტა დრო საფიქრალ-განსასჯელად - რად გინდა, ვერაფრით გამოვიცანი...

ჯერ, აი, სულ-სულ თავიდან ჩვენს პრეზიდენტობას იბრალებდა... ცოტა ხანი, აი, მანამ, სანამ ბოკერია დაპატიჟებდა სადილად...

ერთ დღეს გაიღვიძა და ვანო გაახსენდა მერაბიშვილი. საკანი შეუცვალეს ვანოსო... როგორ გაუბედესო... არა, განა ცუდად ექცევიან ან რამე აკლია, უბრალოდ, შეჩვეულ საკანს დააშორესო... საკანია, ცოლი კი არა! ცოლი, თორე... მარა მაინც...

გამოხდა ხანი და ისევ გაიღვიძა დიადი იდეით შეპყრობილმა - მდიდრული სექსის მოყვარულთა პრეზიდენტი ვარ მე, აი, ქმრები და ცოლები რომ ყავთ და სექსი რომ სხვის ქმრებთან და ცოლებთან აქვთ - იმათი და იმათ გვერდით უნდა დავწვე კი არადა, დავდგეო... დგომა კარგია, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ ვისი ხართ, ის უფრო მაინტერესებს და რა ვქნა, მაქვს ეს ერთი ნაკლი - ცნობისმოყვარეობა...

მერე იყო ყოფილი მოყვრების პრეზიდენტი რაღაც პერიოდი... აქტიურად და ხმაურიანად... რა აქ მოსატანი ეგ არის, მაგრამ მოყვრული კრიმინალი შეარქვეს მაგ ამბავს მოქალაქეებმა...

მართლმადიდებლების პრეზიდენტიც იყო რამდენიმე წუთი... აი, უწმინდესსა და უნეტარესს რომ ეახლა და ხელზე ემთხვია, მაგ დროს და ქორწინების გარეშე ინტიმური ურთიერთობის ფუძემდებელი ვერა, მაგრამ კარგა გვარიანად ჯიუტი მომხრე რომ იყო, ეგ მე კი არა ჩემს შვილსაც ახსოვს...

ახლა „რუსთავი-2“-ს პრეზიდენტია ეგ „ჩაგრულთა და წამებულთა“ დამცველი მარაბდელი... მე არ გამხადოს და გვარამიას არ ჩაცვას - მეშინია...

ამბობდნენ - აქციას შეუერთდებაო... ამბობენ - მეტი ხალხის გამოყვანა რომ მოეხერხებინა გვარამიას - შეუერთდებოდა, მაგრამ შეეშინდა - ვაითუ, უკან მიბრუნებულს რეზიდენციასთან ორი ამდენი ხალხი დამხვდეს და არ შემიშვანო...

„რუსთავი-2“ ლიდერი მედიაა და პოლიტიკოსები არ უნდა შეეხნონო... ხელით კი არავინ ეხება, მაგრამ სიტყვითაც არ უნდა შეეხნონო...

რამდენნაირია ეს დემოკრატია - ვერ გავიგე... „რუსთავი-2“ თუ ვინმეს ლანძღავს - დემოკრატიული მედიაა და ის გალანძღულ-ლაფშიამოსვრილი ვინმე თუ პასუხს დაუბრუნებს - დემოკრატიის შუქურაზე თავდასმა?

რანაირად, ადამიანო? რატომ მიბახებთ დემოკრატიას?

ვისი პრეზიდენტი ხართ თქვენ? რისი პრეზიდენტი ხართ თქვენ? როგორ გახდით პრეზიდენტი თქვენ? პრეზიდენტი ხართ თქვენ?

ენკი, ბენკი, სიკლისა,
ენკი, ბენკი და!
დღენი პრეზიდენტობის,
გა... ვი... და...
იხუჭებით, ბატონო პრეზიდენტო!

უტვინო ნიფხავს აწვალებდაო! ანუ, ამბავი მიწისმწველი კაცისა და მისი მეგობრებისა!

ეს კაცი სულ გვიყურებს და გვისმენს!

ამ კაცს არ ვუყვარვართ და არ ზრუნავს ჩვენზე!

ამ კაცს არ ვუყვარვართ, არ ვუყვარვართ - მოთქვამდა ხმაკანკალებული ათრთოლებული გვარამია რუსთაველის გამზირზე...

ქალს რომ შეუყვარდეთ, ბატონო, არ შეიძლება? მაინცდამაინც კაცს გინდათ შეუყვარდეთ? თან ერთ კონკრეტულ კაცს?

სულ თუ გიყურებთ და გისმენთ და მაინც ვერ შეგიყვარათ - იქნება და პრობლემა თქვენშია, ჰა?

მიწა დაეწვებათ ფეხქვეშო... თვეებია უკვე ფეხქვეშ მიწის დაწვით იმუქრებით თუ იწყევლებით და რომელი პრომეთე თქვენ ხართ, ნეტავი?

კურტუმოთამაშეებიც გვიწოდა გვარამიამ...

სად გვაქვს, ბატონო ნიკა, ჩვენ თამაშის და მით უმეტეს კურტუმოებთ თამაშის თავი ან დრო? გეშლებით ვიღაცაში, გეშლებით... კურტუმოს გასათამაშებლად ტრამპის ინაუგურაციაზე რომ ჩავიდა და ისე გამობრუნდა, რომ ვერც ტრამპი იხილა და ვერც ტრამპის კურტუმო, სხვა კაცია ეგ...

მარტო კაცი ჭამაშიც ცოდოა კი არადა, ხელი ხელს ბანსო - ნაციონალებმა და გამოცხადნენ დედა-ბუდიანად... ვის აღარ ნახავდით აქ, ნიკა მელიას, ნიკა რურუას, ნუგზარ წიკლაურს, გიგი უგულავას, გიგა ბოკერიას და ჭიაბერაშვილსაც კი...

უგულავამ თავისუფლების ბასტიონს შეადარა „რუსთავი-2“ და მას მერე ვფიქრობ - ნეტა რა გონია ბასტიონი?

ბასტიონი არის ციხესიმაგრის კუთხეში დატანებული ხუთწახნაგოვანი ნაგებობა, საიდანაც ცეცხლს უშენენ მოწინააღმდეგეებს.

ამ ცეცხლზე საუბრობდა, ალბათ, გვარამია. უგულავას იმედი ქონდა, ალბათ, გვარამიას. არ მოუშალოს ღმერთმა!

იდგნენ 9 წლიანი წამების „მამები“ ერთად რუსთაველზე, იმ რუსთაველზე, სადაც ქართველ ერს ბევრჯერ უთქვამს თავისი სიტყვა, იმ რუსთაველზე, სადაც ქართველი ახალგაზრდები რუსულ ტანკებს გადაუდგნენ და 9 აპრილს გვაგონებს ეს აქციაო - მოთქვამდნენ...

არადა, 9 აპრილის მემორიალზე ფეხით იყვნენ შემდგარნი, გავები ჰქონდათ შემოდებული 9 აპრილის მემორიალზე... არ აქვს 9 აპრილის მემორიალს მათთვის ღირებულება და იმიტომ, არ იციან რას შეეწირნენ ის ახალგაზრდები და ვერც ვერასოდეს გაიგებენ და იმიტომ... მხოლოდ ის იციან, რომ უნდა ახსენონ, კარგია, თუ ახსენებენ - იქნებ ვინმეს გული მოულბონ, იქნებ ვინმეს ცრემლი ჩამოუგორონ ღაწვზე, იქნებ ვინმე მიიტყუონ თავისთან...

ისე გაუჭირდა გვარამიას, ისე გაუჭირდა ხალხის გამოყვანა აქციაზე, რომ ბოლოს და ბოლოს - ღმერთი იწამა... ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა აღარ მივყვები ავაზაკი ბარაბას გზას და ღვთის გზით უნდა ვიარო დღეიდანო...

ვერ არის ერის მოტყუება კარგი საქმე. ვერ აღმოჩნდა ერის შეცდომაში შეყვანა ადვილი საქმე.

მეორე მხრივ, რას ერჩი, ეკლესიისა და საპატრიარქოს დამცველად ყოფნა ახლა სჭირდება და რა ქნას? სჭირდება ხელისუფლების და ეკლესიის დაპირისპირება, ხალხის და ეკლესიის დაპირისპირება და რა გააკეთოს?

უტვინო ნიფხავს აწვალებდაო, გამიგია, მაგრამ ნიფხავის წვალებასაც ნიჭი სჭირდება თურმე, ნიჭი...

დაანონსებული რეგიონელები კი არა, გარანტირებული სანათესაო არ მოვიდა აქციაზე სრულად...

მხარს კი არა, ხელსაც არ გიჭერდნენ, ფეხზე არც ვსაუბრობ - ფეხი ნუ ექნებათ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე როსკიპი ქალივით გაშლილი და არ გექნება დასაჭერად საქმეო - შემოგითვალათ ერთმა ფეისბუქელმა...

გაიღიმა მეორე ფეისბუქელმა: რა დროს ქათმების კრიახია, კაცებმა 50-6 ით მოუგეს დღეს რაგბში გერმანელებსო...

ეგრეა, ეგრეე....

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

იზიდა და ჰორუსი ღვთისმშობელთან და ყრმა იესოსთან ერთად

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

ვისი წამხედურებითა და ვინ დაიბადა 25 დეკემბერს, რაო, რა საერთოს გამონახვა უნდათ ვიღაცებს?

„რაღაც“ შედარებისთვის ერთად გამოსახავენ ღვთისმშობელ იზიდას ყმაწვილი ჰორუსით ხელში და ღვთისმშობელ მარიამს ყრმა იესოთი ხელში. განმარტება კი ასეთი ერთვის „იესოც და ჰორუსიც 25 დეკემბერს დაიბადნენ და ორივე ქალწულებისგან“.

იზიდა, რა-ს შვილიშვილი — ოსირისის მეუღლეს ქალწულებრივად არ ჩასახვია ჰორუსი, პირიქით... თუ იზიდას დაფეხმძიმების ლეგენდას მივყვებით, საქმე ასე იყო — მას შემდეგ, რაც სეთმა ოსისირისი დაანაწევრა 14-ნაწილად, იზიდამ და ოსირისის დამ მოაგროვეს ეს ნაწილები და შეაერთეს, თუმცა ერთი ნაწილი აკლდა — სასქესო ორგანო, რომელიც თევზებმა შეჭამეს. იზიდამ სასქესო ორგანოს მსგავსი გამოძერწა თიხისგან (მეორე ვერსიით — ხისგან), მიამაგრა საჭირო ადგილზე, დაამყარა მასთან სექსუალური აქტი და ასე ჩაისახა ჰორუსი. მეორე და უმთავრესი — ჰორუსის შობას ეგვიპტელები აღნიშნავდნენ აპრილში.

ღვთაება მიტრა ასეა განმარტებული: „დაიბადა 25 დეკემბერს უმანკო ჩასახვით. ის არის მზის სპარსული ღვთაება. მას მესიასაც უწოდებენ და 12 მოწაფე ჰყავდა. მიტრამ კაცთა ცოდვები საკუთარ თავზე აიღო და მას შემდეგ, რაც მოკლეს, აღდგა. აღდგომის შემდეგ მას თაყვანს სცემდნენ. მიტრას კულტი სცნობს ზიარებისა და ნათლობის ლიტურგიებს“.

მიტრას წარმოშობასთან (არავითარი შობა!) დაკავშირებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ წარმოიქმნა კლდისგან. არანაირი ფრაგმენტი არ არსებობს იმისა, რომ მიტრას ჰყავდა 12 მოწაფე და იყო რისამე მასწავლებელი (მოძღვარი). მხოლოდ ერთ რელიეფზეა გამოსახული 12 ზოდიაქოს ნიშანი და არა მოწაფეები. ასევე, არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმისა, რომ მიტრა ჯვარს აცვეს და გარდაიცვალა. ლეგენდის მიხედვით, როდესაც მიტრამ თავისი მისია შეასრულა, გამართა დიდი ნადიმი ღმერთებისთვის და შემდეგ ცეცხლოვანი ეტლით აფრინდა ცაში. აქვე აღვნიშნოთ, რომ არსებობს ერთი მონუმენტიც, სადაც გამოსახულია მიტრას შობა მწყემსების გარემოში, მაგრამ ეს მონუმენტი დათარიღებულია ჩვ. წ. აღ-ით IV საუკუნეში.

ადონისის (ფრიგიის ყურის მოსახლეობისთვის — ატისი) შესახებ ვკითხულობთ — სამყაროს მოევლინა ქალწული დედისგან. ის აწამეს ტყეში, ფიჭვის ძირში 24 მარტს და აღდგა 25-ში. ატისის კულტის აუცილებელი რიტუალია ზიარება და ნათლობა.

რაც შეეხება ატისს (ადონისს), ის სრულებითაც არ იყო ღვთაება და არც ეთაყვანებოდა ფრიგიის (ძველი კოლხეთის სამფლობელო) ყურის მოსახლეობა. ის იყო ჭაბუკი, რომელიც შეუყვარდა ქალღმერთ რეა-კიბელეს. რაც შეეხება ატისის სიკვდილს, რამდენიმე ვერსია არსებობს. ლეგენდის მიხედვით, როდესაც ატისმა მოკვდავი ქალი ამჯობინა ქალღმერთს, განრისხებული კიბელე ქორწილში გამოჩნდა და ყველა გადაიყვანა ჭკუიდან. გადარეული ატისი მთაში გაიქცა და თავი მოიკლა. მისი მოსაგონებელი დღესასწაულები თვით კიბელემ დააწა. ერთ ვერსიაში, ატისი ნაძვად გადაიქცა; ერთი ვერსიით — ნაძვის ხის ქვეშ კასტრაცია გაიკეთა და თავი მოიკლა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ისტორია იქნება, მითოლოგია თუ სხვადასხვა ე.წ წყარო, სიყალბე იმდენია, რამდენიც გნებავთ, თუმცა უმნიშვნელოვანესი მსოფლიო გაყალბება სახეზეა ძველი კოლხური ცივილიზაციის დაფარვით, მიჩქმალვით, მოსპობით და საერთოდ, ყველანაირი სახით, რაც-კი მსოფლიო მასშტაბის მავნებლობაზე მეტია...

იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოთქვა.

პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი (ამონარიდი): — „ვინ მოიპარა საქართველოს ოთხი ათასწლოვანი ისტორია? ზურაბ რატიანი ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძვის იმისთვის, რომ ერს თავისი მოპარული ისტორია დაუბრუნდეს რომელიც ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა დაწერეს — სამმა წმინდა მთის წმინდა მამამ. ესენი ერის მნათენი არიან. მათ გაგვინათეს სიმართლე, თუ როგორი იყო ქართველთა წარმოშობა, მაგრამ ბევრისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა.

ჩვენნაირი ისტორიის ერი მეორე არაა. არც ძველ ეგვიპტეს, არც ძველ რომს, არც ძველ საბერძნეთს მსგავსი ისტორია არ ჰქონია და რა თქმა უნდა, ეს ისტორია უნდა დამალულიყო, რათა ერს საკუთარი წარმომავლობა არ გაეგო.

სულ მცირე 4 000 წელია მოპარული ქრისტეს მოსვლამდე!

ნიშანდობლივია, რომ უდიდესი მეცნიერი, მკვლევარი რამაზ პატარიძე ნათლად ამბობს: იოანე ზოსიმე მოღვაწეობდა არა იმ პერიოდში, როგორც ჩვენ გვსმენია, არამედ, გაცილებით უფრო ადრე. ნუთუ იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება, რომელიც ქართულ ენას ოთხი დღის მკვდარ ლაზარეს ადარებს, დამთხვევაა?

4 000 მოპარული წელი რადიკალურად სხვაგვარად ალაგებს მსოფლიო კაცობრიობის ისტორიას. რაც ამ ტრიადამ მოგვცა, „ოქროს გასაღებია“. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ შემდეგ ასეთი წიგნი აღარ დაწერილა. საინტერესოა ისიც, რომ წიგნი ქართულად, რუსულად, თურქულად და ინგლისურად დაიწერა. იგი ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს.

ბერძნები, ასირიელები, ეგვიპტელები ამტკიცებენ, რომ ქართველთა წარმომავლობა, ესაა შუმერული, ხეთური, სუბარული, პელაზგური, ლაზური, იბერიული... ინდო-ევროპიელი ბერძნების მიერ იქნა დაპყრობილი ის ტერიტორია, სადაც წინარე ქართველები, პელაზგები ცხოვრობდნენ და შემდგომ საბერძნეთი დაერქვა. მათ ველური ტომი იპყრობს და მისი კულტურის ბოლომდე მითვისება-მიტაცება ხდება. ასევე მოხდა ინდო-ევროპიელი რომაელების მიერ იმ ტერიტორიების დაპყრობა, სადაც წინარე ქართველები, ეტრუსკები სახლობდნენ და მას შემდეგ რომი დაერქვა — ეტრუსკებიც იგივე წინარე ქართული ტომები არიან, მაგრამ რომაელებმა თქვეს, რომ მათი კულტურა მთლიანად ეტრუსკების კულტურიდან გამომდინარეობს.

ევროპის ჩრდილოეთით, წინარე ქართველები ბასკების სახით იბერიის ნახევარკუნძულზე სახლობენ. უცნაური რამ მივიღეთ, არა?

უფრო აქეთ თუ წამოვალთ, საინტერესოა ხეთები. ხეთები და სუბარები წინარე ქართული ტომებია. ხეთებს ეგვიპტის ფარაონთან ბრძოლა აქვთ, ქრისტეს მოსვლამდე 1478 წელია და ხეთების მეფეა ხეტუშილ III რომელმაც ეგვიპტე დაიპყრო და დაპყრობილ ფარაონს ორთვლიანი საომარი ეტლი და ცხენი აჩუქა. ეგვიპტელები წერენ, რომ ცხენი და ეტლი ნანახი არ ჰქონდათ... საინტერესოა ისიც, რომ ასურული (ლურსმნული) დამწერლობით, მეფე ხეტუშილი ამბობდა სიტყვებს, რასაც დღეს ხშირად ვამბობთ: „ჩემმან მზემან“, ვენახი მოვიყვანე, წყლის არხი გავიყვანე და სხვა. თუ სხვები დაპყრობისას წერდნენ „გადავწვი, გავანადგურე“, ქართულ ხასიათებში სხვა რამეს ვაწყდებით. ეს მცირე მაგალითებია, რის გამოც ისტორიის ეს ნაწილი დაგვიმალეს.

ქალდეველები ის ხალხია, ვინც პური და ღვინო მოიყვანა. სხვათაშორის, პურს ძველბერძნულად „პურეი“ ჰქვია. გადის 7-8 ათასი წელი, მოდის იესო და ამბობს: პური ხორცია და ღვინო სისხლია ჩემიო. ამას საკრალური და ეზოთერული დატვირთვა აქვს. უფალი ამბობს, ქართველი კაცის მიერ მოყვანილი პური და ღვინო სისხლი და ხორცია ჩემიო. გესმით, რას ვამბობ? — ამას დამალავდნენ, აბა, რას იზამდნენ?

ბერძნებს ლევან სანიკიძე „ისტორიაპარიებს“ უწოდებდა. ბერძნები მითოლოგიის დიდოსტატები არიან... პრომეთე, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოჰპარა, წამოიყვანეს და იალბუზზე მიაჯაჭვეს. კი, მაგრამ მათ მთა არ ჰქონდათ, ბატონო, აქეთ რომ არ წამოეყვანათ? ეს, რატომ, იცით? — ამირანია აქედან წაღებული. კარგად ვიცით, ქრისტეს მოსვლამდე 1300 წელს იაზონი რომ შემობრძანდა, პირველად მაშინ ნახეს შადრევანი ღვინისა, წყლისა და რძისა. მათ საოცარი კულტურა, შეუსწავლელი კოლხური ცივილიზაცია პირველად ნახეს...

უფალს, ეროვნება არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება — როდესაც უფალი ჯვარზე გააკრეს, მან ბოლო სიტყვებით მამას მიმართა: „ელი, ელი, ლამა საბაქათანი?“ (სულხან-საბას თუ ჩავხედავთ, ამობს „ელოი, ელოი“). ზოგმა ჩვენმა მეზობელმა, რადგან ქრისტემ „ელი“ თქვა, ჩათვალა, ქრისტე სომეხი იყოო. საქმე ისაა, რომ ეს არც სომხურ და არც ებრაულ ენაზე ნათქვამი არ არის. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მის ებრაულ წარმომავლობას ეს ფაქტი ნაცარს აყრის, არადა, ნამდვილად არ არის ებრაული ენა. მაშ, რა ენა არის?

ადამიანი, ფსიქოლოგიურად, ბოლო ამოსუნთქვისას მის ენაზე, დედა ენაზე საუბრობს. ეს ქალდეური ენაა. ხშირად, საუბარია არამეულ ენაზე. ამ ენას ვაჭრები და ხელოსნები იყენებდნენ და ძალიან ცდილობენ, ებრაელობასთან ახლოს იყოს, მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გამოდის ასე და გეტყვით, რატომ.

ძველ აღთქმაში, დანიელ წინასწარმეტყველთან, ნაბუქოდონოსორთან შეხვედრისას ვკითხულობთ, ქალდეველებმა არამეულ ენაზე უპასუხესო. ნეტარი ერონიმე სტრადონელი, რომელიც 380 წელს (ქრისტეს შემდეგ) მოღვაწეობდა, ამბობს, საფუძვლიანად შევისწავლე ებრაული და ქალდეური ენებიო, ე.ი ყოფილა განსხვავება? კიდევ ერთ რამეს დავუკვირდეთ, იოანე პეტრიწის მასწავლებლები, იტალოსი და დიადოხოსი იყვნენ. „თეოლოგიის მთავარი საფუძვლების“ ბოლოში ვკითხულობთ, ქალდეური, ელინური და ებრაელური ცივილიზაციების სიბრძნეთა საფუძვლებზე აღმოცენდა ახალი ქრისტიანული აზროვნებაო. ანუ, ქალდეური, ელინური და ებრაული სხვადასხვა ყოფილა, ხომ?

დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს, მაგრამ იმავე სტროფში წერია „შენ, სიკეთეო ეგვიპტისაო“. წესით, ხომ უნდა თქვას „ისრაელისაო“, რატომ არ ამბობს? ამას ახლავე აგიხსნით — მსოფლიო კაცობრიობის ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე გვეუბნება, მთელი ეგვიპტის კულტურა კოლხეთის კულტურის გაგრძელებააო. კოლხებმა მეტი იციან ეგვიპტელებზე, ვიდრე ეგვიპტელებმა კოლხეთზე. ჰეროდოტეს



ადონისი

თუ დავუჯერებთ, მაშინ მსოფლიო ისტორია რადიკალურად იცვლება. სწორედ ეს მინიშნება აქვს დავით აღმაშენებელს, რომ მისი წარმომავლობა პროტოქართულია, უფალმა „ელოი, ელოი“ მის ენაზე, დედა ენაზე თქვა.

სომხური წყაროებიდან ვგებულობთ რომ ქალდეველების ეთნიკური ვინაობა აბსოლუტურად უეჭველია, ის ქართველი ხალხის ერთი ნაწილია. სომხები მოწმობენ, რომ ქალდეველი იგივე ჭანია, რომელმაც დღემდე შემოინახა თავი თურქეთში.

ახლა გეტყვით, რას ნიშნავს „ლამა“. სულხან-საბას მიხედვით — ვლამობ, ვაპირებ. ანუ ქრისტეს ნათქვამი ნიშნავს; „მამა, რატომ მიმატოვე, რატომ აპირებ ჩემს დატოვებასო“. სწორედ ამ სიტყვას ვაწყდებით სვანეთში, მე-19 საუკუნეში ერთ-ერთ დღესასწაულზე, მურყვამობაზე, სადაც სვანები თავიანთთვის გაუგებარ ენაზე ქალდეურ სიტყვებს ამბობენ. კერძოდ, „ელო ტელოფია (ხეთების ნაყოფიერების ღმერთი) იოხ, იოხ!“ ანუ ეხვეწებიან, მეოხ-გვყავიო. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ სვანეთში არის სოფელი ქალდეა, ციხე ქალდეა, გვარი — ქალდანი. მთელი თურქეთის ტერიტორიაზე თავიდან ბოლომდე სახლობენ ზანები, ჭანები, ლაზები...

მიტრა

(გაგრძელება იქნება)

ბილწთა შეკრულები

„...ბილწს არ შევეკვრით ზავი-თა...“ — ქართველი მგოსნის ეს სიტყვები ყველა წიგნიერი ადამიანისთვის კარგად არის ცნობილი. სამწუხარო ფაქტია, რომ ბილწებს ბევრი შეეკრა ბოლო ხანებში, თუმცა ამის გამო უხერხულობასაც კი არ გრძნობენ.

წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი სიბილწეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და. ალბათ, არც არის საჭირო, რადგან ყველას კარგად გვახსოვს, მათ შორის „იმედის“ დარბევა და საერთოდ გათიშვა. თუმცა, გვერდს ვერ ავუვლით 2007 წლის მიწურულს „რუსთავი-2“-ის ეთერში გასულ ფილმ-საზიზღრობას „ნოემბრიდან ნოემბრამდე“. ამ სიბილწის ავტორი იმ პერიოდში მთავარი პროკურორის მოადგილე ნიკა გვარამია გახლდათ. სწორედ ეს ნაპროკურორალი ქათმად ქცეული გვეელინება დღეს თავისუფალი პრესის დამცველად.

დამნაშავე რეჟიმის უტიფრობა უსაზღვროა. დღეს გარეგნულად იერსახე შეიცვალეს, ნაწილმა სახელებიც გამოიცვალა, მაგრამ სულით და გულით მაინც ნაციონალებად რჩებიან. ჩადენილ დანაშაულებს დღეს მხოლოდ შეცდომებად მიიჩნევენ. არანაირი სინანულის გამოხატვა. პირიქით, აქეთ არიან შეტევაზე გადმოსული და უტიფრად გვეუბნებიან, ქვეყანა ჩვენ უნდა გადავარჩინოთო!

ნაცბანდის ციინიზმი, მათი წარსულიდან გამომდინარე, არავის უკვირს. უბედურება ის გახლავთ, რომ ამ ბილწებთან ისეთი ხალხია შეკრულ-ჩახუტებული, ადრე ეროვნულ მოღვაწეობაზე რომ დებდნენ თავს, შლეგ საკაშვილს ვითომ ოპოზიციაშიც რომ ედგნენ. თუმცა, როგორც კი დასჭირდათ, მის ნავში გადასკუპდნენ. ასეთი პოლიტიკური პარტიების შესახებაც კარგად მოეხსენება ჩვენს საზოგადოებას. ერთ მათგანს გამოვარჩევთ.

ლეიბორისტებისა და საკაშვილის კავშირზე ჯერ კიდევ 2002 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ალაპარაკდა ხალხი, შალვა ნათელაშვილმა გარკვეული თანხის სანაცვლოდ დაუთმო საკრებულოში საკაშვილს პირველობაო, ამბობდნენ კულუარებში. ყოველივე ამას წლების მანძილზე სასტიკად უარყოფდა ქვეყნის მთავარი ლეიბორისტი, მაგრამ... პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენისთანავე ნათელაშვილი დიაცივით წყევლა-კრულვას არ აკლებს მას, ქართველი ხალხი კი მეძავებად მოგვიხსენია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „რუსთავი-2“-ის მხარდასაჭერად უზენაეს სასამართლოსთან ლეიბორისტები თავიანთი ტრიბუნით მივიდნენ და აქციის დაწყებამდე გამოუცხადეს მხარდაჭერა „ნაცმოძრაობას“ და ნიკა გვარამიას. ახლა ვიკითხოთ, ვინ არის მეძავთან შესადარებელი და ვინ ყოფილა ბილწებთან შეკრული?!

ბილწებთან შეკრულებზე როცა ვსაუბრობთ არც „თავისუფალი დემოკრატები“ უნდა დავივიწყოთ, არც „ეროვნულ-დემოკრატები“, არც დავითაიები, არც ხარატიშვილები, არც სარიშვილები, არც „პადოშები“ და ა. შ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სამთავრობო-სახელისუფლებო სტრუქტურებშიც მოიძებნებიან ბილწებთან შეკრულები. განსაკუთრებით

კი ქვეყნის პრეზიდენტი და მისი აპარატი გამოირჩევა თავისი აქტიურობით. გადავხედოთ მათ მოქმედებას, განცხადებებს და დარწმუნდებით ჩვენს სიმართლეში.

2012 წლის შემდეგ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სჯეროდა „ნაცმოძრაობის“ დასასრულის, მაგრამ ქვეყნის საუბედუროდ, ისინი დღემდე ბოგინობენ, რაშიც ჩვენი კოლეგა-ჟურნალისტებიც უწყობენ ხელს. თითქმის ყველა არხის თანამშრომლები ჭკუას რატომღაც ნაცბანდის წევრებს ეკითხებიან. იმის მაგივრად, ყოველდღიურად ვახსენებდეთ ჩადენილ სიბილწეებს, დემაგოგიის საშუალებას ვაძლევთ. სიმართლე რომ ვთქვათ, ზოგიერთი ტელეარხი და ე. წ. ჟურნალისტი იმ ბილწებთან მჭიდროდ არის შეკრული.

სიტყვის, პრესის თავისუფლების მოთხოვნით აქციების გამართვა თითიდან გამოწოვილი მიზეზია. ნაცხროვის, ანუ ბილწების და მათთან შეკრულთა მიზანი ქვეყანაში არეულობის მოწყობაა. მღვრიე წყალში თევზის დაჭერა უნდა ყველას, მათ შორის ზოგიერთ ვაი-პოლიტიკოსს და პარტიას, ქვეყნის მომავალი ბედ-იღბალი სულაც არ ანაღვლებთ, ოღონდ თავად იყვნენ კარგად, როგორმე მოკალათდნენ თბილ სკამებზე, დაიკავონ თანამდებობები, აი, ეს არის მათი მთავარი მიზანი.

სირცხვილია, როდესაც ვითომ სიტყვის და პრესის თავისუფლებისთვის იბრძვიან ადამიანები, რომლებმაც დაანგრიეს ქვეყანა და მათ შორის, ქართული პრესა. თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, „ნაცმოძრაობა“ ბილწთა გაერთიანება გახლავთ და ბილწებთან შეკვრა მხოლოდ სირცხვილი არ გახლავთ, ეს ქვეყნისთვის არის საზიანო და დამანგრეველი.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— **მაინტერესებს არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები.**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგდგენთ სრულად:

მუხლი 29. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები

1. დაინტერესებული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება/წევრთა შეთანხმება), რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება;

ბ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი;

დ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის (დამფუძნებლების) შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში — სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში — სრული სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები)); თითოეული დამფუძნებლის შესახებ მონაცემები შეიტანება ცალ-ცალკე;

ე) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) შესახებ;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა;

ზ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

თ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;

ი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), მისი (მათი) არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა;

კ) მონაცემები წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

ლ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;

მ) რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა, თუ იგი განსხვავდება ამ ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში მითითებული წესისა და პროცედურისაგან.

3. რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აგრეთვე უნდა დაერთოს:

ა) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს (გამოიყენებენ) საქმიან ურთიერთობებში;

გ) ცნობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ — ადგილსამყოფლის მესაკუთრის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა ან ადგილსამყოფლით სარგებლობის თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450; 558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კომფორტული მომსახურება 24 სააათის განმავლობაში

ჯაშუშების ხელფასები, ჰონორარი და სასჯელი

უკვე დიდი ხანია, ცნობილია, რომ ჯაშუშობის სამყაროში საზღვრები იმდენად გადარეცხილია, რომ რთულია თეთრისა და შავის გარჩევა. მოღალატეები ყოველთვის როდი იწევენ კოლეგებში ზიზღს, არც საიდუმლო ინფორმაციის მოწინააღმდეგისთვის გადაცემა უთხრის ყოველთვის ძირს ნაციონალურ უსაფრთხოებას.

მაგალითად, თავის მემუარებში ჰიტლერის დაზვერვის შეფი ვალტერ შელენბერგი წერს, რომ ომის მსვლელობის დროს იაპონიის ელჩმა ონოდერამ, რომელიც შეთავსებით იაპონიის საიდუმლო სამსხურის თანამშრომელიც იყო, სტოკჰოლმში მოაწყო დაზვერვის მონაცემების ბირჟა, სადაც მთავარი მოთამაშეები იყვნენ გერმანია, სსრკ, იტალია და დიდი ბრიტანეთი...

თავიდან ონოდერა ცვლიდა საკუთარი აგენტების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, რომლებიც ვიშიში, რომში, ბელგრადსა და ბერლინში იყო მოპოვებული, თანაბარი ღირებულების სხვადასხვა ქვეყნების დაზვერვის მასალებზე. შელენბერგის მტკიცებით, რუსები ყველაზე სწრაფად და აქტიურად მოქმედებდნენ. დიდი ბრიტანეთიდან მიღებული მასალებიდან ნათელი იყო, რომ რუსებს ამ ქვეყნის უმაღლეს ეშელონებშიც ჰყავდათ აგენტები.

სრულიად შესაძლებელია, რომ შელენბერგს მხედველობაში ჰქონდა კემბრიჯის ხუთეულის ინფორმაცია. სხვათა შორის, მისი გამოაშკარავებისა და მოსკოვში ბერჯესის, მაკლინისა და ფილბის გაქცევის შემდეგ, ბრიტანელი მწერალი გრემ გრინი, რომელიც თავადაც MI6-ის თანამშრომელი იყო, კიმ ფილბისთან მეგობრობას აგრძელებდა, ამ „ხუთეულიდან“ ერთი — ენტონი ბლანტი არ დაუპატიმრებიათ, იგი ელიზაბეთ II-ის ნათესავი გახლდათ და კვლავინდებურად სამეფო სურათების გალერეის მთავარი ინსპექტორი იყო.

დაზვერვის ზოგიერთი ოფიცერი მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლის გადაწყვეტილებას იღებს ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის სრულებით გაუგებარი მიზეზების გამო. გადამწყვეტ როლს ფული ასრულებს არა იდეოლოგია. ფული — ეს ყველაზე გასაგები და ადეკვატური სტიმულია, იდეალისტს კი ყოველთვის შეუძლია გადაიფიქროს...

და რადგან არსებობს სამუშაო და ფული, რომლისთვისაც გიხდიან, ესე იგი ეს ბიზნესის კიდევ ერთი სახეობაა...

რობერტ ლიპკა

გადამხდელი — რუსეთის დაზვერვა

ამერიკის სპეცსამსახურების უმაღლესი თანამდებობის პირებისთვის რუსეთის სასარგებლოდ გაწეული სამუშაოს ანაზღაურება ქვეყნის ბიუჯეტს ძვირი სულაც არ დაუჯდა (საუბარია 90-იან წლებზე).

ყველაზე ნაკლები ჰაროლდ ნიკოლსონს გადაუხადეს, რომელიც ცენტრალური სადაზვევრო ბიუროს საწვრთნელი ცენტრის უფროსი გახლდათ. იგი რუსეთის დაზვერვისთვის 1994-1996 წლებში მუშაობდა. ნიკოლსონმა ამისთვის 120 ათასი აშშ დოლარი და 23-წლიანი სასჯელი „მიიღო“.

გამოძიების ფედერალური ბიუროს ოფიცერი რობერტ ჰანსენი კაგებესთვის 1985-2001 წლებში მუშაობდა. მას 600 ათასი დოლარი გადაუხადეს, ერთ-ერთ უცხოურ ბანკში კი 800 ათასი აშშ დოლარი ჩაურიცხეს.

ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს მაღალი თანამდებობის პირი ოლდრიჩ ეიმსი 1994 წელს გამოააშკარავეს, იგი საბჭოთა დაზვერვისთვის 9 წელი მუშაობდა. ამისთვის მან 2,5 მლნ აშშ დოლარი მიიღო.

გამოძიების ფედერალური ბიუროს კიდევ ერთი თანამშრომელი ერლ ედვინ პიტსი 1996 წელს დააპატიმრეს. 1997 წელს მან თავი დამნაშავედ ცნო და განაცხადა, რომ 1987-1993 წლებში რუსეთის მხარეს ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ მასალებს გადასცემდა. რუსეთის ბიუჯეტიდან გადაუხადეს 224 ათასი რუბლი.

უფრო ნაკლებს უხდიდნენ ამერიკის არმიის ოფიცრებს. აშშ-ის არმიის პოლკოვნიკი ჯორჯ ტროფიმოფი ყველაზე მაღალი თანამდებობის ამერიკელი სამხედრო პირია, ვინც ჯაშუშობისთვის დააპატიმრეს. იგი 25 წლის განმავლობაში თანამშრომლობდა ჯერ სანჭოთა, შემდეგ კი რუსულ დაზვერვასთან. 1969 წელს იგი დანიშნეს სამხედრო დაზვერვის ნიურნბერგის განყოფილების უფროსად. სწორედ აქ გადაიბირა იგი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტმა ირინეიმ.

ტროფიმოფი რუსულ მხარეს აშშ-სთვის ცნობილი საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის შესახებ გადასცემდა ინფორმაციებს. ამისთვის 250 ათასი აშშ დოლარი გადაუხადეს. მას გადაეცა წითელი დროშის ორდენი და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

საბჭოთა და რუსული დაზვერვა მარტო ოფიცრებთან კი არა, ჯარისკაცებთანაც მუშაობდა.

1996 წლის თებერვალში დააპატიმრეს რობერტ სტეფან ლიპკა, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომელი. იგი ვაშინგტონში იყო მივლინებული 1964-67 წლებში და ყოველ კვირას საბჭოთა საელჩოს აწვდიდა იმ ინფორმაციას, რომელიც თეთრი სახლისთვის მზადდებოდა.


ეიმს ოლდრიჯი

1998 წლის ოქტომბერში გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მოსკოვის სასარგებლოდ ჯაშუშობის გამო დააპატიმრა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი სერჟანტი დევიდ შელდონ ბუნი, რომელიც 1988-91 წლებში საბჭოთა დაზვერვას ზესაიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა ამერიკული ტაქტიკური რაკეტებისა და აშშ-ის რადიოელექტრონული დაზვერვის შესახებ. ოთხი წლის განმავლობაში მას 60 ათასი დოლარი გადაუხადეს.

რუსები — უმაღლესი ლიგა

ცივი ომის ისტორია აჩვენებს, რომ ამერიკელები მხოლოდ მაღალი დონის სამხედრო ოფიცრების გადაბირებას ახერხებდნენ, რადგან ჯარისკაცებთან და სერჟანტებთან საერთო ენას ვერ პოულობდნენ.

2006 წლის 9 აგვისტოს მოსკოვის სამხედრო სამხარეო სასამართლომ რუსეთის სპეცსამსახურების პოლკოვნიკს სერგეი სკრიპალს 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა. იგი დიდი ბრიტანეთის დაზვერვისთვის მუშაობდა. ცნობილია, რომ იგი MI6-თან 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან თანამშრომლობდა, როცა ხანგრძლივ მივლინებაში იმყოფებოდა საზღვარგარეთ. 8 წლის განმავლობაში მას 100 ათასი აშშ დოლარი გადაუხადეს.

რუსეთის უშიშროების ფედერალური ბიუროს სასაზღვრო სამსახურის პოდპოლკოვნიკს იგორ ვიალკოვს 2004 წელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ესტონეთის სასარგებლოდ შპიონაჟის გამო. 2001-2 წლებში მას ამისთვის ესტონეთის ბიუჯეტიდან გადაუხადეს 1000 აშშ დოლარი.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი აგენტი ალექსანდრ ზაპოროჟსკი იყო, რუსეთის ფედერაციის საგარეო სამსახურის ყოფილი ოფიცერი.

ზაპოროჟსკი საგარეო კონტრდაზვერვის სამმართველოში მუშაობდა. 1994 წელს დააწინაურეს და საგარეო კონტრდაზვერვის ამერიკის განყოფილების უფროსის მოადგილედ დანიშნეს. მისი მოღვაწეობის სფეროში შედიოდა ლათინური ამერიკის ქვეყნები. 1997 წელს იგი თადარიგში გავიდა და ამერიკაში გაემგზავრა. 2001 წელს დააპატიმრეს მოსკოვში და 18 წელი მიუსაჯეს. ამერიკის სასარგებლოდ თითქმის 7 წელი მუშაობდა. გადაუხადეს 500 ათას აშშ დოლარზე მეტი.

ნებისმიერი ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშური მუშაობა დიდი საფრთხეების შემცველია, რადგან ამისთვის სასჯელი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა — ამერიკაში უვადო პატიმრობა, რუსეთში — 20 წელი... არავინ იცის, როგორ აისახება მზვერავის „ჩავარდნა“ მისი ოჯახის წევრებზე. მათ მშვენივრად იციან, რაზე მიდიან, მაგრამ ჯაშუშები ყოველთვის იყვნენ და, ალბათ, ყოველთვის იქნებიან...

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com